განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საბოლოო დასკვნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: პანდელის იფსილანდისი, პროფესორი ემერიტუსი, თესალიის უნივერსიტეტი, საბერძნეთი

წევრები:

დიმიტრი გეგენავა, პროფესორი, პრორექტორი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო

დიანა მჭედლიშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

ლელა იოსავა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ირმა მახარაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი

თბილისი,
2020 წელი

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (SJSU) დღევანდელი ფორმა არის შედეგი უწყვეტი ევოლუციისა, რომელიც 1990 წელს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის დაარსებით დაიწყო. 2002 წელს მას დაერქვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალი, ხოლო 2007 წელს დაარსდა და აკრედიტაცია მიიღო, როგორც დამოუკიდებელმა უსდ-მ - სსიპ ახალციხის ინსტიტუტმა, რომელმაც 2009 წელს მიიღო სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი. 2012 წელს იგი შეერწყა ახალქალაქის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას და ჩამოყალიბდა სამცხე – ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რომლის აკრედიტაცია განხორციელდა 2014 სრული უნივერსიტეტის ფორმით. უნივერსიტეტის განვითარება ასახავს რეგიონში მიმდინარე პროცესების შედეგად წარმოქმნილ საჭიროებებს, როგორიცაა ეკონომიკური და სოციალური განვითარება, ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობების ნაკლებობა და დემოგრაფიული დისბალანსი, რომელიც გაჩნდა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ამ ნაწილში.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ავტონომიური სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მდებარეობს ახალციხესა და ახალქალაქში. მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების ტრანსპორტირება ობიექტებს შორის უფასოა. ამასთან, უნივერსიტეტი ახდენს სხვა ადგილებიდან მასწავლებლების ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირებას. ასევე მათთვის უზრუნველყოფილია უფასო საცხოვრებელი ახალციხის ახალ საერთო საცხოვრებელში. სტუდენტები კი, უზრუნველყოფილი არიან ახალქალაქის უფასო საერთო საცხოვრებლებით.

ამჟამად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოიცავს ოთხ ფაკულტეტს: განათლება, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, ბიზნესის ადმინისტრირება, სამართალი, ინჟინერია, აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. უნივერსიტეტი მსურველებს სთავაზობს 24 აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას. აქედან 10 პროგრამა საბაკალავროა, 9 - სამაგისტრო, 3 კი - სადოქტორო. უნივერსიტეტს ასევე აქვს ორი მოკლევადიანი (60 კრედიტიანი) პროგრამა: ქართული ენის სწავლება და მასწავლებელთა მომზადება. უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული. სტუდენტთა ამჟამინდელი რაოდენობაა 1 877. საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება აკადემიური პერსონალის 64 წევრისა და 73 მოწვეული თანამშრომლის მიერ. ადმინისტრაციული პერსონალი შეადგენს 85 ადამიანს. უნივერსიტეტმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებაში, ასევე მულტიკულტურული მიმართულებით მასწავლებელთა განათლების კუთხით. სახელმწიფომ გააცნობიერა და განაზოგადა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული გამოცდილება.

უნივერსიტეტის განვითარების პარალელურად, მისი სამომავლო გამოწვევაა ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელება, მუდმივად განახლებული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა სფეროს განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, კვლევების მიმართულებით გაძლიერება, ინტერნაციონალიზაციის გაზრდა და რეგიონალური საჭიროებების მიხედვით პროფესიული პროგრამების დანერგვა.

უნივერსიტეტის წვლილი საზოგადოებაში სოციალური, კულტურული და ეკონომიკური კეთილდღეობის განვითარების კუთხით აღიარებულია რეგიონში არსებული სოციალური

პარტნიორებისა და დამსაქმებლების მიერ. საზოგადოების მოლოდინები უნივერსიტეტის მიმართ დიდია, რეგიონში მცხოვრები მრავალეთნიკური მოსახლეობის ნდობა კი -მაღალი.

საავტორიზაციო ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტში ვიზიტი განახორციელა სამი დღის განმავლობაში: 17 დეკემბრიდან (სამშაბათი) 19 დეკემბრის (ხუთშაბათი) ჩათვლით. ვიზიტამდე ჯგუფმა მიიღო თვითშეფასების ანგარიში და საკმარისი მოცულობის დამხმარე დოკუმენტაცია ყველა სტანდარტის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში აღინიშნა რამდენიმე მცირე შეუსაბამობა, ჯგუფი მადლობას უხდის შესაბამის პირებს დეტალური ანგარიშის მიწოდებისთვის, რომელშიც იდენტიფიცირებულია თითოეული სფეროს ძლიერი და სუსტი მხარეები. ამავე დროს, ჯგუფი გირჩევთ რომ არ განმეორდეს ინფორმაცია, ხაზი გაესვას მნიშვნელოვან საკითხებს და თავიდან იქნას აცილებული პროცედურული დეტალები. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი იყო ინფორმაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო.

ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა საშუალება შეხვედროდა და გასაუბრებოდა ადმინისტრაციულ გუნდს (რექტორსა და რექტორის მოადგილეებს, კანცლერს, აკადემიურ საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოს, თვითშეფასების ჯგუფს, ფაკულტეტის დეკანებს, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდს, ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელების წარმომადგენლებს, ასოცირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალს, სამეცნიერო პერსონალს, სტუდენტებს (ქართველებსა და უცხოელებს)), კურსდამთავრებულებს, სოციალურ პარტნიორებსა და ადმინისტრაციული გაერთიანებების წარმომადგენლებს. შეხვედრების ყველა მონაწილე მზად იყო ეთანამშრომლა, ღიად და გულახდილად მიეღო მონაწილეობა დისკუსიებში. ექსპერტთა ჯგუფი ასევე ეწვია სასწავლებლის ობიექტებს ახალქალაქსა (17/12) და ახალციხეში (18, 19/12). ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის მიწოდების თაობაზე პროფესიონალურად და ეფექტიანად დაკმაყოფილდა ვიზიტის განმავლობაში.

ექსპერტთა ჯგუფი უღრმეს მადლობას უხდის თითოეულ მონაწილეს ვიზიტისას განხორციელებულ ნაყოფიერ დისკუსიებში თანამშრომლობისა და მონაწილეობისათვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს, რომელმაც ვიზიტის მსვლელობისას უზრუნველყო შეუფერხებელი ოპერირება და მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის დროული მოწოდება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

პროგრამა:

- **შესაბამისობაშია** პირველ სტანდარტთან: ***უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება***

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მისია, რომელშიც მისი როლი განსაზღვრულია, როგორც რეგიონალური ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების მთავარი ხელშემწყობი. ეს მიიღწევა ხარისხიანი განათლების, პროფესიული მომზადების, უწყვეტი სწავლისა და კვლევების პოპულარიზაციის გზით. უნივერსიტეტის მისიას იზიარებს მთელი აკადემიური საზოგადოება და ყველა სოციალური პარტნიორი, რომლებსაც სასწავლებელთან ჩამოყალიბებული აქვთ სინერგიული ურთიერთობა და აღიარებენ მას, როგორც რეგიონში ცვლილებების შემომტან დაწესებულებას. უნივერსიტეტის სტრატეგიაში ყურადღება გამახვილებულია ევროპულ უმაღლეს განათლების სფეროში ინტეგრაციაზე. შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას აქვს სწორი მიმართულება და მასში გაანალიზებულია კონკრეტული მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ღონისძიებები. საქმიანობების დაკავშირება

ბიუჯეტთან და სხვა რესურსების მოთხოვნებთან, კონკრეტული მიზნის ინდიკატორებთან ხელს შეუწყობს ქმედებების უფრო ეფექტურ მონიტორინგსა და პრიორიტეტულობის განსაზღვრას. სასარგებლო იქნება ფაკულტეტების ჩართულობის გაზრდა და საკუთრებისა და პასუხისმგებლობების გაზიარება.

- **მეტწილად შესაბამისობაშია** მეორე სტანდარტთან: ***უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა***

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურა შეესაბამება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. მკაფიოდ არის განსაზღვრული მმართველი ორგანოების და სხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები/პასუხისმგებლობები და უზრუნველყოფს უსდ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის ეფექტურ განხორციელებას. ცალკეული სტრუქტურული ერთეულები, რომლებსაც უშუალოდ ევალებათ უნივერსიტეტის სტრატეგიისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, მუშაობენ მიზნების მიღწევაზე. უსდ გეგმავს სადოქტორო სკოლის შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კვლევითი ელემენტების შემუშავებასა და სადოქტორო პროგრამების განხორციელებაზე. ჯგუფის აზრით, უფრო ეფექტური იქნება კურსდამთავრებულთა სკოლის შექმნა, რათა ხელი შეეწყოს სამაგისტრო და სადოქტორო სტუდენტების ჩართულობას სამეცნიერო საქმიანობაში, საგრანტო პროექტებსა და ა.შ.

უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების არჩევის / დანიშვნის წესები შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს და ითვალისწინებს კანდიდატების კვალიფიკაციას, გამოცდილებას, ხედვასა და განვითარების გეგმებს. მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებები აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღება დროულად, შესაბამის პერსონალთან თანამშრომლობით და სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსდ აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეესტრი არ შეიცავს ზუსტ მონაცემებს და საჭიროებს გაუმჯობესებას.

უსდ- ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფუნქციონირებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებისა და უნივერსიტეტის შესაბამისი დებულებების შესაბამისად. აღნიშნული სამსახურის საქმიანობა მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს და მიმართულია უსდ-ს სტრატეგიული მიზნებისა და მისიის ეფექტური განხორციელებისკენ. უსდ-ს სტრუქტურული ერთეულები აღიარებენ ხარისხის უზრუნველყოფის/ხარისხის კულტურის მნიშვნელობას სამუშაო პროცესში. ისინი ასევე აცნობიერებენ ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების აუცილებლობას. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხორციელდება ფაკულტეტების დონეზე. ამასთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელი არ ჰყავს და საქმიანობას სპეციალისტები ასრულებენ. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მხარს უჭერს უწყვეტ წინსვლას და მოქმედებს PDCA ციკლის პრინციპებზე დაყრდნობით. შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურები, თუმცა არ მომხდარა ყველა საგანმანათლებლო პროგრამის განახლება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სწავლის შედეგების სათანადო შეფასება. უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმები, რომელთა შედეგები გამოიყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვის მექანიზმი ითვალისწინებს უმაღლესი განათლების რესურსებს, შესაბამის ინდიკატორებსა და ორიენტირებს, როგორიცაა სტუდენტთა ჩარიცხვისა და მობილობის დინამიკა, კურსდამთავრებულთა დასაქმება, შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები, ბაზრის კვლევის შედეგები, თანამშრომლებისა და სტუდენტების თანაფარდობა და ა.შ.. თუმცა ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ

მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არ შეცვლილა და არც სპეციალური გაანგარიშება მომხდარა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტებისა და პერსონალის ეთიკისა და ქცევის კოდექსი და განსაზღვრული აქვს რეგულაციის დარღვევებზე რეაგირების პროცედურები. ეთიკის კოდექსი საჯაროდ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ეთიკის პრინციპები ხელს უწყობს დისციპლინას, თანამშრომლებისა და სტუდენტების უფლებების დაცვასა და თავისუფლებას, უზრუნველყოფს სამართლიან ანაზღაურებას, უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს, უნივერსიტეტსა და პერსონალს/უნივერსიტეტსა და სტუდენტებს შორის კარგ ურთიერთობებს და ეთიკური ნორმების დაცვას სამუშაო ადგილზე. კოდექსის დარღვევისთვის პასუხისგების სახეებს ითვალისწინებს უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები. უსდ 2017 წლიდან ახორციელებს პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და რეაგირების მექანიზმებს, რათა ხელი შეუწყოს საუნივერსიტეტო გარემოში აკადემიურ კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას.

- **მეტწილად შესაბამისობაშია** მეხუთე სტანდარტთან. ***საგანმანათლებლო პროგრამები***

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების პროცესი რეგულირდება კონკრეტული სახელმძღვანელო პრინციპებით, რომლებიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უნივერსიტეტის კვლევის პრიორიტეტებს, კონსულტაციებს გარე პარტნიორებთან, დარგის სპეციფიკურ საკითხებსა და საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას. ფაკულტეტების დეკანებთან, აკადემიურ საბჭოსთან, აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ პროგრამის დაგეგმვის პროცედურები სათანადოდ ხორციელდება.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მეტწილად აგებულია ლოგიკურ კავშირსა და კომპონენტებს შორის თანამიმდევრულობაზე. მთლიანობაში, პროგრამების შინაარსი შეესაბამება მის მიზნებს, სტრუქტურა კი საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეუფერხებლად მიაღწიონ პროგრესს. უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამების განახლებას ახალი სტანდარტების შესაბამისად. თუმცა გარკვეულ პროგრამებს სჭირდება მნიშვნელოვანი გადასინჯვა, რათა აისახოს ცვლილებები შესაბამის სფეროებში.

პროგრამის დიზაინში დაფიქსირდა ცვლილებები სასწავლო შედეგების (LOs) მიდგომის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ პროგრამებში ნათლად არის განსაზღვრული უმაღლესი განათლების დონის და კვალიფიკაციის სწავლის შედეგები, ახალი ან ძველი სტანდარტების შესაბამისად, ჯერ კიდევ არსებობს რამდენიმე პროგრამა, რომელთა სწავლის შედეგები არ შეესაბამება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მითითებებს. ეს მითითებები კი განსაზღვრულია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) პრაქტიკის შესაბამისად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და საშუალებას იძლევა დადგინდეს, მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა სასურველ შედეგებს, როგორც ეს განსაზღვრულია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამითა თუ სასწავლო კურსებით. სტუდენტს შეუძლია დააკვირდეს შეფასების შედეგებს ელექტრონული პროცესის მართვის სისტემის საშუალებით. ამასთან, ამ ელექტრონულ პლატფორმას ყველა სტუდენტი არ იცნობს. უნივერსიტეტს სჭირდება სტუდენტების მომზადება და იმის უზრუნველყოფა, რომ სისტემა იყოს უფრო ინფორმაციული და ეფექტური.

შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების სპეციალური წესი. პროგრამის კოორდინატორი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტებთან და აკადემიური პერსონალის წევრებთან ერთად ქმნის მონიტორინგის ჯგუფს, რომელიც აფასებს სწავლის შედეგებს და ახდენს სამიზნე ნიშნულებთან შედარებას.

მეთოდოლოგია თავდაპირველად შემუშავდა ბაკალავრიატისა და სამაგისტრო პროგრამების პედაგოგთა გადამზადების 300-კრედიტიანი პროგრამისთვის. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა ასახოს სათანადო მიდგომა ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში.

- **მეტწილად შესაბამისობაშია** მეოთხე სტანდარტთან: ***უსდ-ის პერსონალი***

პერსონალის მართვის ძირითადი წესები რეგულირდება კანონმდებლობით. პერსონალის განვითარებას ხელს უწყობს უნივერსიტეტი. პროფესორთა ინიციატივას მიესალმება ადმინისტრაცია. მრავალი წიგნი, ტრენინგი, კონფერენცია და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა დაფინანსდა უნივერსიტეტის მიერ. ამ გადაწყვეტილებების უმეტესობას რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იღებს. ზოგიერთი საქმიანობა, რომელსაც მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება, განიხილება წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში). ამასთან, ჯერჯერობით არ არსებობს ზუსტი პროცედურა და წესი, თუ როგორ უნდა იქნას მიღებული დაფინანსება, როგორ უნდა მოხდეს მის შესახებ ანგარიშის წარდგენა ადმინისტრაციაში და მიღებულ იქნას უკუკავშირი საქმიანობების შესახებ. ახალი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში მნიშვნელოვანია, რომ პერსონალის განვითარება მოხდეს განახლებული HR დეპარტამენტის მიერ აკადემიურ განყოფილებებთან და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ერთად ორგანიზებულად და დაგეგმილად, მისი მონიტორინგისა და კონტროლის პირობებში.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი ერთობლივად უზრუნველყოფს გამოცდილებისა და საქმიანობების სწორ ბალანსს. ახალი სადოქტორო პროგრამების შემუშავებისა და კვლევითი საქმიანობის საშუალებით, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს ამ პროცესებში ახალი მკვლევარებისა და ლექტორების ჩართვას. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და განახორციელოს სტრატეგია აკადემიკოსთა ახალი თაობის ჩართულობისათვის.

სამუშაო დატვირთვა პროფესორებისთვის, ასოცირებული პროფესორებისთვის და ასისტენტ-პროფესორისთვის განსხვავებულია, მაგრამ აკადემიური კვლევა ან სხვა მომსახურები არ გამოითვლება სამუშაო საათებში, არამედ ქულების სისტემაში, რაც მთელი სქემას ძალზედ ართულებს. პროფესორებისთვის არ არის შეზღუდვები სხვა უნივერსიტეტებში სწავლებასთან დაკავშირებით, თუმცა ზოგადად არ არსებობს სამუშაო დატვირთვაზე ეფექტური მონიტორინგის მექანიზმი.

- **მეტწილად შესაბამისობაშია** მეხუთე სტანდარტთან. ***სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები***

სტუდენტთა მიღების, სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და განათლების აღიარების რეგულაციები გაერთიანებულია ერთ დოკუმენტში სახელად: „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“. ყველა შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომია არსებული და მომავალი სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის "სასწავლო სახელმძღვანელოში", რომელიც ხელმისაწვდომია უსდ-ს ვებგვერდზე. უცხოელი სტუდენტები პროგრამაში ჩარიცხულნი არიან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

ხელშეკრულებით განსაზღვრული სწავლის საფასურის ვადებისა და პირობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციის დაწყებამდე და ეს პირობები განიხილება, როგორც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. შიდა და გარე მობილობის და კრედიტის აღიარების წესები ნათლადაა განსაზღვრული. გამოკითხულმა სტუდენტებმა იცოდნენ სწავლის პროცესთან დაკავშირებული პროცედურები, მათ შორის საჩივრების შესახებ.

უსდ- ს ამჟამინდელ სტრუქტურაში სტუდენტური მომსახურება, კარიერული ზრდა და განვითარება ექვემდებარება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს. სტუდენტების მომსახურების, კარიერული ზრდისა და განვითარების ახალი ცენტრი გათვალისწინებულია

სტრატეგიული მიზნის ნაწილად, რომელიც მოაზრებულია უნივერსიტეტის სტრუქტურის განახლებაში. ამჟამად ინფორმაციული და საკონსულტაციო მომსახურებების უმეტესობას ყოველდღიურად ახორციელებს ფაკულტეტი. რაც შეეხება აკადემიურ კონსულტაციებს, სტუდენტებს უზრუნველყოფენ ინდივიდუალური საკონსულტაციო საათებით, რომელთა გრაფიკი მოცემულია სასწავლო გეგმაში და ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე. სასწავლო პლატფორმას (Moodle) შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სასწავლო პროცესის განვითარებაში. თუმცა, როგორც ჩანს, ჯერჯერობით მისი შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული ფაკულტეტისა და სტუდენტების მიერ.

უსდ ქართული ენის მოსამზადებელ კურსებს სთავაზობს არაქართულენოვან სტუდენტებს. ექსპერტთა ჯგუფს სჯერა, რომ ქართული ენის უნარის გაძლიერება მნიშვნელოვნად დაეხმარება უცხოელ სტუდენტებს, როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ ცხოვრებაში, უნივერსიტეტთან და ადგილობრივ საზოგადოებასთან ინტეგრაციის კუთხით.

რა თქმა უნდა, კარგი პრაქტიკაა რექტორის მიერ ინიცირებული ყოველთვიური ,,რექტორის საათი", რომელზე დასწრებაც თავისუფალია. ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია დაესწროს, დასვას კითხვები და განიხილოს საკითხები. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა შესაძლებლობის შესახებ და ნაწილობრივ ასრულებს კარიერული განვითარების სამსახურის მოვალეობებს. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ორგანიზებული კარიერული განვითარების სამსახურის ჩამოყალიბება.

მოცემულია ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობების შესახებ, მაგრამ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის აქტივობა ძალიან დაბალია ინგლისური ენის არცოდნის გამო. სპორტულ, კულტურულ ღონისძიებებში და სოციალურ აქტივობებში მონაწილე სტუდენტებისთვის სხვა შესაძლებლობებს უზრუნველყოფს უნივერსიტეტი და სტუდენტური თვითმმართველობა.

უსდ-ს სრულად აქვს გაცნობიერებული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პირობები და ცდილობს განათლების მიღება ფინანსურად ხელმისაწვდომი გახადოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მრავალი სასტიპენდიო პროგრამა უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი სტუდენტების მაღალი აკადემიური მოსწრების ხელშესაწყობად. გარდა ამისა, სოციალურად დაუცველი სტუდენტების შეღავათები მოიცავს სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალურ გრაფიკსა და გადასახადისგან განთავისუფლებას მძიმე სოციალური და/ან ეკონომიკური პირობების მქონე სტუდენტებისათვის.

- **მეტწილად შესაბამისობაშია** მეექვსე სტანდარტთან: ***კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა***

უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმაში კვლევისა და სწავლების ინტეგრაცია და ინტერნაციონალიზაცია განისაზღვრება როგორც ინსტიტუციური პრიორიტეტები. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარული მეცნიერების ინტერდისციპლინარულ კვლევებს განიხილავს, როგორც აუცილებელ საქმიანობას რეგიონის წინაშე არსებული გამოწვევების გადასაჭრელად, ხოლო სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის პრაქტიკული მნიშვნელობა განიხილება მიზნობრივი კვლევის სფეროებში. ჯგუფმა აღნიშნა, რომ ადგილობრივ და რეგიონულ ეკონომიკურ აგენტებსა და სხვა ეკონომიკურ აქტორებს ნამდვილად შეეძლოთ უფრო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ ინსტიტუტის არსებულ კვლევის სტრატეგიაში. ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს დაწესებულების მისწრაფებას სადოქტორო განათლების გაძლიერებისაკენ. დოქტორანტსა და მის პოტენციურ ხელმძღვანელს შორის კვლევითი ინტერესების თანხვედრა უაღრესად მნიშვნელოვანია სადოქტორო სწავლის წარმატებით დასრულებისთვის. დოქტორანტებს შეუძლიათ აირჩიონ ხელმძღვანელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სხვა დაწესებულებიდან ან დაინიშნონ თანახელმძღვანელი სხვა ქართული ან უცხოური

უნივერსიტეტიდან. დოქტორანტურის ზედამხედველობის სტრუქტურის გაღრმავება აშკარაა კანდიდატების პროგრესის მონიტორინგში, განსაკუთრებით მათი სწავლის შეჩერების პერიოდებში.

უნივერსიტეტში აშკარად ჩანს სტიმული, ენთუზიაზმი და იმის გაცნობიერება, თუ საით მიდის სასწავლებელი კვლევის მხარდაჭერისა და ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით. ამასთან, შესაბამისი ძალისხმევა უნდა იყოს მეტად ორგანიზებული, ხშირი და კონსოლიდირებული, რადგან მას ინსტიტუციონალური მიდგომა სჭირდება. სამოქმედო გეგმა და სტრატეგიული გეგმა დეტალურადაა გაწერილი კონკრეტულ აქტივობებზე, მაგრამ ინსტიტუტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან არ ჩანს, თუ როგორ აპირებს უსდ ამ მიზნების მიღწევას. უნივერსიტეტი დიდწილად ეყრდნობა მთავრობის მხარდაჭერას, სტუდენტთა მოსაკრებლებსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (NSF) მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა, რომ NSF არის უდიდესი ეროვნული წყარო პრიორიტეტული კვლევების დაფინანსებისთვის, საერთაშორისო მასშტაბის კიდევ მრავალი წყაროა საჭირო, რომ უზრუნველყოფილი იქნას კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაციის უამრავი დახმარება, რომელიც საკმარისად არ არის გამოყენებული. ინსტიტუციური სტრუქტურისთვის კვლევის განყოფილების დამატებას და გამოცდილი დამხმარე პერსონალით მის დაკომპლექტებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ მხარდაჭერის მოსაპოვებლად. იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს კონკრეტული განყოფილებები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან კვლევების მხარდაჭერასა და ინტერნაციონალიზაციაზე, ძნელი წარმოსადგენია, თუ რამდენად რეალისტურად შეიძლება გამოიყურებოდეს სამოქმედო გეგმა მომდევნო სამი წლის განმავლობაში. დაფინანსების კვლევა სადოქტორო პროგრამების დამკვიდრებამდე უსდ-ში ჩვეულებრივი პრაქტიკა არ იყო. უსდ-ს კვლევის დღის წესრიგში ის 2014 წელს სადოქტორო პროგრამების დანერგვის შემდეგ გამოჩნდა. წლიური ბიუჯეტის დაახლოებით 3% გამოიყოფა კვლევის დაფინანსებისთვის, ხოლო უნივერსიტეტის სამეცნიერო გრანტებისთვის შიდა დაფინანსება ყოველწლიურადაა გამოყოფილი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია უსდ– ში ჩატარებული კვლევითი საქმიანობის შეფასებაზე, მათ შორის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებაზე. ინსტიტუციური მონაცემები ეფექტურად გროვდება 2018 წლის დასაწყისიდან. საერთო ჯამში, ინსტიტუციური პრაქტიკა აჩვენებს, რომ ანგარიშები ყოველწლიურად იდება ცალკეული განყოფილებების / ან პასუხისმგებელი პირების მიერ. ეს მოხსენებები ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა და იძლევა სასარგებლო ანალიზსა და რეკომენდაციებს.

- **მეტწილად შესაბამისობაშია** მეშვიდე სტანდარტთან: ***მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები***

ამჟამად ფუნქციონირებს სამი შენობა-ნაგებობა, რომლებიც სათანადოდ აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად და სხვა სასწავლო თუ ადმინისტრაციული საქმიანობებისთვის. ყველა ადგილი კარგადაა მოვლილი, უზრუნველყოფილია უწყვეტი ბუნებრივი და ხელოვნური განათების სისტემები, ცენტრალური გათბობა და სანიტარული ნაგებობები, რომლებიც შეესაბამება სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს. უნივერსიტეტი გეგმავს ყველა სამშენებლო ობიექტის გაუმჯობესებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყველა სართულზე დაშვებისა და ევაკუაციის მარშრუტების უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.

აკადემიური პერსონალისთვის კომფორტული საერთო საცხოვრებელი კორპუსი მდებარეობს ახალციხეში. სრულად რეაბილიტირებულია საერთო საცხოვრებელი კორპუსი, რომელსაც შეუძლია 200-მდე სტუდენტი დაიტიოს ორ და სამ ოთახიან ბინებში. ამ ბინებს აქვს კერძო სანიტარული მოწყობილობები და საშხაპეები, სამზარეულო, საერთო სარგებლობის ზონა და

სამრეცხაოები. ყველაფერი ეს განლაგებულია ახალქალაქის შენობის ოთხ სართულზე. საერთო საცხოვრებელ კორპუსში ცხოვრება სტუდენტებისთვის უფასოა.

ბოლო ეტაპზეა 2.5M GEL გეგმის დამტკიცების მოლაპარაკებები განათლების სამინისტროსთან, რომლის მიხედვითაც კიდევ ერთი კორპუსი გარემონტდება ახალქალაქში და შეიქმნება სათანადო ინფრასტრუქტურა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩასატარებლად.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა მუშაობს ყველა შენობაში. ობიექტები, ტექნიკა და მომსახურება ისეთია, როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას შეეფერება. ბიბლიოთეკა კვირაში 6 დღეა გახსნილი, სულ 60 საათის განმავლობაში და ღიაა საზოგადოებისთვის. ბიბლიოთეკის მარაგი მოიცავს საბაზო და დამხმარე ლიტერატურას ქართულ და უცხო ენებზე, რომლებიც აუცილებელია საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის. თუმცა, ვიზიტის დროს ჯგუფმა ვერ შეძლო სილაბუსის ბიბლიოგრაფიით განსაზღვრული ზოგიერთი წიგნის პოვნა. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა არის საქართველოს ბიბლიოთეკის ასოციაციის წევრი და Elsevier Consortium- ის წევრი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. მას აქვს წვდომა ძირითად სამეცნიერო მონაცემთა ბაზებსა და ჟურნალის გამომცემლებზე. ბიბლიოთეკა ინახავს სტატისტიკას ონლაინ ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების რეგისტრაციასა და გამოყენებაზე და შესაბამის ინფორმაციას გადასცემს ადმინისტრაციას. ამჟამინდელი სტატისტიკის თანახმად, სამეცნიერო ჟურნალზე წვდომა უნივერსიტეტში შედარებით მცირეა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების რაოდენობის გათვალისწინებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიგნით შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების ბიზნეს პროცესებს და უზრუნველყოფს მათ წარმატებულ განხორციელებას. ყველა სასწავლო სფეროში არის საკმარისი რაოდენობის ტექნიკური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკები, პროფესორის სამუშაო ადგილი, კომპიუტერი და პრინტერები. უკაბელო ინტერნეტზე წვდომა და ინტერნეტ მომსახურება ხელმისაწვდომია ყველგან. სწავლების, სწავლისა და ადმინისტრაციის ელექტრონული სერვისები და მართვის სისტემები მოიცავს ელექტრონული სწავლების პლატფორმას (Moodle), სასწავლო პროცესის მართვის სისტემას, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემასა და ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგს. სასწავლო პერსონალისა და სტუდენტთა ტრენინგი აუცილებელია სასწავლო პლატფორმის შესაძლებლობების სრულად გამოყენების მიზნით. ვებსაიტზე რეგულარულად განახლდება ინფორმაცია. საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი პუნქტები უნდა აიტვირთოს ინგლისურ ენაზე. უნდა მოხდეს უცხოელი სტუდენტების მოზიდვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება.

უსდ-ს 2019 წლის ბიუჯეტში აღწერილი ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. დაფინანსების წყაროები განსხვავებულია რისკების ადეკვატური და ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად. ჯგუფი რჩევას იძლევა, რომ ბიუჯეტში იყოს მკაფიო და გამჭვირვალე ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული მიზნების შესრულების, კვლევითი საქმიანობის წარმართვის, ადამიანური რესურსების განვითარების, ბიბლიოთეკისა და ინფრასტრუქტურის შესახებ.

რეკომენდაციების რეზიუმე

- სამოქმედო გეგმის ყველა ელემენტი უნდა იყოს დაკავშირებული ბიუჯეტის კონკრეტულ თანხებთან, ადამიანურ რესურსებთან და მატერიალურ მოთხოვნებთან, რათა ხელი შეეწყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესებს მონიტორინგში, პრიორიტეტულ

საქმიანობებსა და სამომავლო ცვლილებებში.

- ინდიკატორები, საჭიროების შემთხვევაში, უნდა უკავშირდებოდეს მიზნებს (სამიზნე ნიშნულებს).

- ფაკულტეტები უფრო მეტად უნდა უკავშირდებოდნენ სტრატეგიულ გეგმას განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომლიც მათ განვითარებას ეხება.

- უნივერსიტეტი განიხილავს ადმინისტრაციული ერთეულების რესტრუქტურიზაციას, ამიტომ მან უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა, რადგან ეს ორი სფერო უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს ეხება. ამ ორი განყოფილების ფუნქციები განსხვავებულია და სხვადასხვა უნარებს მოითხოვს. საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული განვითარების და საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთი ოფისის შექმნის ამჟამინდელი გეგმა არ შეიძლება ემსახურებოდეს უნივერსიტეტის მიზნებს.

- დაიწყეთ მოწვეული პერსონალისა და დოქტორანტების შერჩევა, რომლებიც კარგად ფლობენ ინგლისურ ენას, რათა გაიზარდოს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის შანსი და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა.

- უზრუნველყავით, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეესტრში იყოს ზუსტი მონაცემები.

- უზრუნველყავით სასწავლო პროგრამების შეფასებისა და სრულყოფის პროცედურები ყველა ფუნქციური პროგრამისთვის.

- უზრუნველყავით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უფრო ეფექტურად ხორციელდებოდეს ფაკულტეტის დონეზე.

- უზრუნველყავით, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება იყოს ნათელი და გამჭვირვალე და ითვალისწინებდეს ინსტიტუტის მიერ დამტკიცებულ ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს.

- პროგრამების მუდმივი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს აკრედიტაციის მიმდინარეობის მიუხედავად, რათა მოხდეს შესაბამისი დარგების განვითარების შეფასება.

- შეადგინეთ წინაპირობები ბაკალავრიატის სტაჟირებისთვის, ჯგუფური პროექტებისთვის და სამაგისტრო პრაქტიკისთვის, რადგან ეს საქმიანობები ეხება წინარე სწავლის გამოყენებას.

- საჭიროების შემთხვევაში განაახლეთ სამაგისტრო დონის და სადოქტორო პროგრამების სტრუქტურა, რათა სტუდენტებმა გამოიმუშაონ შესაბამისი დონის უნარები, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო წერასთან და კვლევის მეთოდოლოგიასთან.

- მოახდინეთ სწავლის შედეგების რესტრუქტურიზაცია გარკვეულ პროგრამებში, რათა მოხდეს პროგრამის მთლიანი შედეგების (რომელთა მიღწევაც შეიძლება დამოწმდეს) აღწერა.

- კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე აუცილებელია მომავალი დოქტორებისათვის, რადგან ისინი, სავარაუდოდ, უნივერსიტეტის მასწავლებლებისა და მკვლევარების ახალი თაობა იქნებიან. უზრუნველყავით ამ პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევა.

- უზრუნველყავით, რომ სტუდენტებს შეეძლოთ ელექტრონული პროცესის მართვის სისტემის გამოყენება. გახადეთ სისტემა უფრო ინფორმაციული და ეფექტური სწავლის გაუმჯობესებისა და სტუდენტების უკუკავშირისთვის.

- უზრუნველყავით, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი.

- ყველა სასწავლო პროგრამაში განახორციელეთ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.

- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პასუხისმგებლობის მკაცრი სისტემა და განახორციელოს იგი. პასუხისმგებლობა უნდა შეამოწმოს კოლეგიურმა ორგანოებმა, მაგალითად, აკადემიურმა საბჭომ (და არა მხოლოდ რექტორმა და ადმინისტრაციის უფროსმა). აკადემიური პერსონალის შეფასება უნდა მოხდეს მათი აკადემიური საქმიანობის საფუძველზე. ყველა შიდა საგრანტო კონკურსი უნდა მოიცავდეს ანგარიშვალდებულებას და შეფასდეს უნივერსიტეტის მიერ.

- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს გეგმა, რათა ახალი თაობის აკადემიკოსები ჩაერთონ სასწავლო და კვლევის პროცესში. ასევე უნდა დაეხმაროს მათ, რომ იყვნენ აკადემიური პერსონალის ნაწილი, რათა უზრუნველყოს უნივერსიტეტი საკმარისი რაოდენობის აკადემიკოსებით ზოგიერთი პროფესორის პენსიაზე გასვლის შემდეგ.

- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პერსონალის მობილობის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები და წაახალისოს მათი მონაწილეობა.

- უნივერსიტეტმა უნდა შექმნას აკადემიური პერსონალის დატვირთვის სათანადო მექანიზმი, განსაზღვროს აუდიტორული, კვლევითი და სხვა საქმიანობისთვის ზუსტი საათები. სამუშაო დატვირთვა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ ვალდებულებებსა და გაზომვად პასუხისმგებლობებს, რომლებიც უნდა შეასრულონ თანამშრომლებმა.

- აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩაატარეთ სათანადო ტრენინგები სასწავლო პლატფორმის Moodle- ის გამოყენებაში, რათა ის სრულად გამოიყენონ, როგორც ეფექტური დამხმარე მექანიზმი სასწავლო პროცესში და სტუდენტებთან კომუნიკაციაში.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისგან დამოუკიდებლად უნდა შეიქმნას კარიერული განვითარების ოფისი, რომელიც დააკავშირებს დამსაქმებლებსა და უნივერსიტეტს, ჩაატარებს ტრენინგებს საჭირო უნარ-ჩვევებში სამუშაოს მაძიებლებისთვის და შესაბამის ღონისძიებებს, როგორიცაა „კარიერის დღეები“, "დამსაქმებელთა ფორუმები“ და ა.შ.

- გაზარდეთ ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის ციკლი. გახანგრძლივეთ იგი ან პარალელურად გააგრძელეთ (კრედიტების გარეშე) პირველივე სემესტრის / წლის განმავლობაში რეგულარული სწავლის პირობებში. ეს ხელს შეუწყობს ასიმილაციასა და ინტეგრაციას აკადემიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

- მოახდინეთ დოქტორანტურის ხელმძღვანელობის წესების ფორმულირება და უზრუნველყავით, რომ ყველა ფაკულტეტის სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი მათ დაემორჩილოს.

- მოახდინეთ უცხოელი ლექტორების ხელმძღვანელობის ან თანახელმძღვანელობისთვის წესების ფორმულირება. ხელი შეუწყეთ პროცესს და უზრუნველყავით, რომ დოქტორანტებმა მიაღწიონ ინგლისური ენის ცოდნის მაღალ დონეს, რაც მათ დაეხმარება მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო ფორუმებში.

- შეიმუშავეთ სისტემური და ოფიციალური მიდგომა კვლევის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით.

- შექმენით თითოეული ძირითადი პასუხისმგებლობის სტრუქტურული ერთეული, მაგალითად, კვლევითი განყოფილება და საერთაშორისო ურთიერთობების ოფისი. მოიზიდეთ და მოამზადეთ ადამიანური რესურსები კვლევის დამხმარე განყოფილებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისისთვის.

- თითოეულ ფაკულტეტს / აკადემიურ განყოფილებას დაუნიშნეთ აკადემიური პერსონალი, დოქტორანტები და მკვლევარები, რათა მათ შეიმუშავონ ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო სააგენტოებისთვის კვლევითი წინადადებები.

- გააღრმავეთ თანამშრომლობა კვლევის განყოფილებას, საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისსა და ფაკულტეტებს შორის, რათა ახალგაზრდა მკვლევარები ჩაერთონ ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით პროგრამებში.

- გაზარდეთ უნივერსიტეტის ბიუჯეტში კვლევის დაფინანსება.

- მოახდინეთ მონაცემთა შეგროვების სისტემატიზაცია და მონაცემთა ანალიზი; ჩართეთ ამ პროცესში კვლევის დამხმარე განყოფილება, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი და ფაკულტეტები.

- ხელახლა შეაფასეთ დატვირთვის სქემა და განუმარტეთ პერსონალს, თუ რა ფასდება.

- შეიმუშავეთ კვლევის დამხმარე განყოფილების პროდუქტიულობის შეფასების მექანიზი.

- გამოიყენეთ შეფასების შედეგები სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის შემდგომი განვითარებისათვის.

- ახალციხის კამპუსში შეაკეთეთ საევაკუაციო გასასვლელი და ბილიკები, რათა დაცული იყოს უსაფრთხოების სტანდარტები.

- დაასრულეთ საჭირო აღჭურვილობის დაყენება ისე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ წვდომა უნივერსიტეტის შენობებში არსებულ ყველა სართულსა და ადგილზე.

- განაახლეთ ახალქალაქის კამპუსში მე-3 კორპუსი, რათა მიღწეულ იქნას იგივე სტანდარტები, როგორიცაა ახალციხის კამპუსში.

- ბიბლიოთეკის მარაგში გადაამოწმეთ და უზრუნველყავით პროგრამების სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი ყველა სახელმძღვანელო. პროცესის მონიტორინგი უნდა მოხდეს ყოველწლიურად.

- გააძლიერეთ სტუდენტებისა და პერსონალის ტრენინგები ელექტრონული მონაცემთა ბაზებისა და ჟურნალების გამოყენებაში. აუცილებელია თანამშრომლობა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დირექტორებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, რომლებიც ასწავლიან სამეცნიერო წერას.

- გააძლიერეთ სტუდენტებისა და პერსონალის ტრენინგები ელექტრონული მონაცემთა ბაზებისა და ჟურნალების გამოყენებაში. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დირექტორებსა და აკადემიურ პერსონალს შორის თანამშრომლობა აუცილებელია სამეცნიერო წერის უნარის განვითარებისთვის.

- გამოიკვლიეთ და შეამოწმეთ მოსწავლეთა კმაყოფილება ელექტრონული სასწავლო პლატფორმის შესახებ და დააკმაყოფილეთ მათი მოლოდინები, რათა მათ ჰქონდეთ ამ პლატფორმის გამოყენების მოტივაცია.

- დარწმუნდით, რომ სასწავლო პროგრამების ძირითადი შინაარსი ატვირთულია ინგლისურ ენაზეც.

- უზრუნველყავით, რომ ბიუჯეტში იყოს მკაფიო და გამჭვირვალე ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული მიზნების შესრულების, კვლევითი საქმიანობის წარმართვის, ადამიანური რესურსების განვითარების, ბიბლიოთეკისა და ინფრასტრუქტურის შესახებ.

- გაზარდეთ კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი.

რჩევების რეზიუმე

- ყურადღება უნდა მიექცეს უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს შექმნას საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებს.

- დაეხმარეთ კურსდამთავრებულებს ასოციაციის შექმნაში, რომელმაც შეიძლება დაორგანიზოს აქტივობები უნივერსიტეტში (მაგ: განვითარების დაგეგმვის პროცესში ჩართულობის, სტუდენტთა ხელმძღვანელობისა და კონსულტაციების კუთხით) ან უნივერსიტეტს გარეთ (მაგ: უნივერსიტეტის სარეკლამო ღონისძიებები).

- ერთიანი სამომავლო გეგმის განსაზღვრა სტრატეგიული გეგმის ნაწილი უნდა გახდეს, რათა შეიქმნას ისეთი სტრატეგიები და მოქმედებები, რომლებიც შეამცირებს SWOT– ის ანალიზში გამოვლენილ საფრთხეებსა და რისკებს.

- უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს სტუდენტთა სტაჟირება უფრო მეტი პროგრამის ფარგლებში, საჭიროებისამებრ.

- განაგრძეთ და გააღრმავეთ აკადემიური პერსონალის განვითარება სწავლა/სწავლების მეთოდოლოგიებში.

- გააძლიერეთ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის როლი თანამშრომელთა განვითარების კოორდინაციისა და მონიტორინგის სფეროში.

- აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის უნდა მოხდეს კოლეგიალური შეფასების სისტემების დანერგვა. ეს შეიძლება იყოს სავალდებულო ახლად დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის.

- შექმენით მექანიზმი ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობასთან დაკავშირებული საჩივრების შესამოწმებლად. გირჩევთ პროცესებში ჩართოთ სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, იურიდიული ოფისი და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანო. უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს "ომბუდსმენის" ოფისის დაარსების საკითხი.

- ჩამოაყალიბეთ გეგმა, რათა გაიზარდოს სტუდენტთა მობილობა მეზობელი ქვეყნების გარეთაც.

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს დამატებით შეუძლია ისარგებლოს ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავებით, ერთი მხრივ, და ადგილობრივ დამსაქმებელთა ქსელთან თანამშრომლობის გაძლიერებით, მეორე მხრივ.

უსდ-მ მიზნად უნდა დაისახოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული ყველა შესაძლო რესურსის გამოყენება.

- შექმენით ოფიციალური რეგულაციები იმ დოქტორანტების პროგრესის მონიტორინგის მიზნით, რომლებიც იჩერებენ სწავლას. ასევე უზრუნველყავით, რომ კვლევის თემა დარჩეს აქტუალური.

- მოახდინეთ ადგილობრივი საზოგადოებისა და სოციალური პარტნიორების მობილიზება, რათა მიიღოთ სახელმწიფო გრანტი იმ შენობის რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციისთვის, რომელიც იფუნქციონირებს პროფესიული განათლებისა და ტრენინგის ცენტრის სახით.

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

- უნივერსიტეტის მისიის თანახმად, მთავარი პოლიტიკაა უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობების ადგილობრივი სტუდენტების, აგრეთვე უცხოეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი სტუდენტების ქართულ ენაზე მომზადების კურსები.

- რეგიონალურ საქმეებში მაღალი ჩართულობა და ადგილობრივი დასახლებებისათვის უფასო სერვისების მიწოდება.

- რექტორის ყოველთვიური შეხვედრები სტუდენტებთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების აზრის მოსმენასა და პატივისცემას.

- ყოველთვიურად ჩატარებული ,,რექტორის საათი", რომელსაც არ აქვს დღის წესრიგი. შეხვედრა ღიაა ყველა სტუდენტისთვის პასუხის გასაცემად და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებსა თუ საკითხებზე მსჯელობისთვის.

- ადგილობრივი, თბილისელი ან/და ქართველი პროფესორის, ან ადგილობრივი და უცხოეთში მოღვაწე პროფესორის თანა-ხელმძღვანელობის შესაძლებლობა

- ზედამხედველობისთვის დამატებითი ანაზღაურების უზრუნველყოფა.

- საუნივერსიტეტო შიდა კონკურსი კვლევითი პროექტის გრანტებისთვის.

- ახალქალაქის კამპუსში სტუდენტებისთვის უფასო განსახლების უზრუნველყოფა

- უფასო ტრანსპორტირებისა და საცხოვრებელის უზრუნველყოფა პროფესორისათვის, რომელიც არ ცხოვრობს ამ მხარეში.

შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	**უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება**	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ს მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და შეცვლის წესი, განათლების აღიარება და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6	**კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის ხელშეწყობა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☒	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. პანდელის, იპსილანდისი (თავმჯდომარე)
2. დიმიტრი გეგენავა (თანა-თავმჯდომარე)
3. დიანა ლეჟავა (წევრი)
4. ლელა იოსავა (წევრი) ირმა
5. მახარაძე (წევრი)

ავტორიზაციის მაძიებელი უსდ-ს შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისიის შესახებ განაცხადი განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სფეროსა და ფართო საზოგადოებაში. უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ეფუძნება უმაღლესი ამ საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროსა და საზოგადოებაში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მისიის განცხადება ჩამოყალიბდა აკადემიურ საზოგადოებასთან განხილვისა და იმ ადგილობრივი საზოგადოების მიერ შემოტანილი წვლილის პირობებში, რომელშიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (SJSU) ოპერირებს. მისიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უნივერსიტეტის როლს რეგიონის განვითარებაში. საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილი მიიღწევა უმაღლესი ხარისხის საუნივერსიტეტო სწავლების, პროფესიული განათლების, უწყვეტი სწავლების, ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებული კვლევების, სწავლებისა და კვლევის კუთხით ევროპულ უმაღლესი განათლების სფეროში ინტეგრაციის გზით. სტრატეგიული გეგმის ერთ – ერთი ღერძი მიზნად ისახავს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას, რომელიც ამჟამად, ძირითადად, მეზობელ ქვეყნებთან ევროპის მასტშაბით თანამშრომლობისკენ არის მიმართული. აკადემიური პერსპექტივის პარალელურად, უნივერსიტეტის მისია აქცენტს სვამს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების პრიორიტეტებზე და განსაკუთრებით, არაქართველი ეთნიკური მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციაზე. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ამბიცია, რომ იყოს ლიდერი ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში და აღწევს კიდეც ამ მიზანს. უსდ-ს მოდელი ეთნიკურ უმცირესობებს სთავაზობს ერთწლიანი მომზადების პროგრამას ქართულ ენაზე. ეს მოდელი შემუშავდა და განხორციელდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მიიღო სახელმწიფომ და განხორციელდა სხვა უნივერსიტეტებშიც. საერთო ჯამში, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს აღზარდოს დემოკრატიული და ჰუმანური ღირებულებების მქონე თაობები, რაც გამოიწვევს ენის, კულტურისა და ინტელექტის განვითარების უწყვეტობას. უნივერსიტეტის მისია რეალისტურია და მორგებულია მის ხედვაზე - დაიმკვიდროს თავი, როგორც ძლიერმა საგანმანათლებლო-კვლევითმა ცენტრმა და ემსახუროს რეგიონის საჭიროებებს, გახდეს რეფორმატორი, ხელი შეუწყოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარებას და დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. ექსპერტთა ჯგუფს რჩება შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტი ასრულებს თავის მისიას. ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოება იზიარებს არსებულ მისიას, სტუდენტები აცნობიერებენ უნივერსიტეტის მიერ ადგილობრივი მოქალაქეებისათვის მიწოდებულ ღირებულებებს, ხოლო ადგილობრივი სოციალური პარტნიორები თვლიან, რომ დაწესებულების არსებობა თამაშობს გადამწყვეტ როლს რეგიონის განვითარებაში. გამოკითხულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს კმაყოფილება უსდ-

სთან დაკავშირებით. ზოგიერთმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ ყოფილიყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისინი ვერ შეძლებდნენ საუნივერსიტეტო განათლების მიღებას, რადგან მათთვის ფინანსურად შეუძლებელი იქნებოდა სახლიდან მოშორებით სწავლა. სხვა რეგიონების სტუდენტებმა ამ უნივერსიტეტში სწავლა არჩიეს შედარებით დაბალი საფასურის გამ.

ადგილობრივი დამსაქმებლების, ინდუსტრიის, სამოქალაქო ორგანიზაციების, სკოლების, რეგიონალური სასამართლოს წარმომადგენლების თქმით, SJSU არის რეგიონში გამოცდილი პროფესიონალი პერსონალის ძირითადი მომამზადებელი. მათი განცხადებით, SJSU- ს კურსდამთავრებულები ქმნიან მათ დასაქმებულთა დიდ ნაწილს. გამოკითხული ჩართული მხარეების ნაწილი და საზოგადოების გამოჩენილი წევრები არიან უნივერსიტეტის კურსდამთავრებული (მაგალითად, მერი, რომელიც რეგიონში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, ასევე, რეგიონალური განვითარების ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სახელმწიფო და რეგიონალური სააგენტოების ხელმძღვანელები, მუზეუმის დირექტორი, სკოლის დირექტორი, მთავარი მოსამართლე და ა.შ).

დაინტერესებულმა პირებმა აღიარეს უნივერსიტეტის როლი, როგორც რეგიონებში კომპეტენტური მასწავლებლების მომზადების ძირითადი წყარო. ასევე მაღალი შეფასება მიეცა უსდ-ს მცდელობას, ასწავლოს ქართული მოსახლეობის არაქართულენოვან ნაწილში (ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი), რითაც ხელი შეუწყო უმაღლეს განათლებაზე წვდომას და ინტეგრაციას საზოგადოებასა და სოციალურ ცხოვრებაში. ჯგუფზე შთაბეჭდილება მოახდინა ჩართულ მხარეთა უნივერსიტეტის განვითარებით დაინტერესებამ, რაც გამოიხატა მათი ჩართულობით სხვადასხვა საქმიანობაში, როგორიცაა პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა, სტაჟირების შეთავაზება, ერთობლივი გაფართოების პროგრამის შექმნა, წინადადებები ახალი პროფესიული და საგანმანათლებლო პროგრამებისთვის და ა.შ. უნივერსიტეტმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს სოციალური პარტნიორების დიდი ინტერესი და განიხილოს მათთან ურთიერთქმედების ოფიციალური ფორმა. ყურადღება უნდა მიექცეს კურსდამთავრებულთა ასოციაციის შექმნასაც.

ინტერვიუების მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გააცნობიერა უნივერსიტეტის ჩართულობა და დახმარება ადგილობრივი საზოგადოებისადმი და მისი წვლილი რეგიონის განვითარებაში. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ინდიკატიური მოქმედებები, როგორიცაა საზოგადოებრივი ღონისძიებების ორგანიზება და მასში მონაწილეობა, საზოგადოებრივი საუბრები, პრეზენტაციები, კონფერენციები, ადგილობრივ სკოლებთან მჭიდრო თანამშრომლობა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა, უახლოეს მომავალში იგეგმება ადგილობრივი ფერმერების საკონსულტაციო მომსახურება და საჯარო მომსახურება, მაგალითად, იურიდიული კონსულტაცია.
უნივერსიტეტი ცდილობს მიიზიდოს ქართული წარმოშობის უცხოელი სტუდენტები და ეთნიკური უმცირესობის სტუდენტები (ძირითადად სომეხი), რათა მეტი ადგილობრივი მოსახლეობა სწავლობდეს უნივერსიტეტში. SJSU– ს აქვს სურვილი, რომ იყოს ლიდერი უმცირესობის სტუდენტებისთვის ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების დარგში. ამჟამად SJSU– ში არის სახელმწიფო ენის სწავლების ძლიერი სკოლა, რომელსაც მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისარი. SJSU- ში შემუშავებული მოდელი, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს სთავაზობს ერთწლიანი მომზადების პროგრამას ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების სპეციალობაზე ჩაბარებამდე, აღიარებული და განზოგადებულია სახელმწიფოს მიერ, როგორც წარმატებული პრაქტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები აკადემიურ საბჭოსთან, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სოციალურ პარტნიორებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები:

- ყურადღება უნდა მიექცეს უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს შექმნას საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებს.

- დაეხმარეთ კურსდამთავრებულებს ასოციაციის შექმნაში, რომელმაც შეიძლება ორგანიზება გაუკეთოს აქტივობებს უნივერსიტეტში (მაგ: განვითარების დაგეგმვის პროცესში ჩართულობის, სტუდენტთა ხელმძღვანელობისა და კონსულტაციების კუთხით) ან უნივერსიტეტს გარეთ (მაგ: უნივერსიტეტის სარეკლამო ღონისძიებები).

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- უნივერსიტეტის მისიის თანახმად, მთავარი პოლიტიკაა უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობების ადგილობრივი სტუდენტების, აგრეთვე უცხოეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი სტუდენტების ქართულ ენაზე მომზადების კურსები.

- რეგიონალურ საქმეებში მაღალი ჩართულობა და ადგილობრივი დასახლებებისათვის უფასო სერვისების მიწოდება.

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2 სტრატეგიული განვითარება

უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარებისა (7-წლიანი) და სამოქმედო (3-წლიანი) გეგმები

- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, დაწესებულებაში დაგროვებულ ცოდნას უზიარებს საზოგადოებას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას და სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

ახალმა 7-წლიანმა სტრატეგიულმა გეგმამ (2019-2016), რომლის შემუშავება დაიწყო 2016 წლის ბოლოს, ჩაანაცვლა წინა გეგმა (2014-2019 წლების). გეგმა ემყარება SWOT ანალიზს და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად მის განვითარებას აქვს ქვემოდან ზევით მიმართულება, რომელიც მოიცავს ფაკულტეტებს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და სოციალურ პარტნიორებს.

უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიაში მთავარი პრიორიტეტებია: i) კვლევისა და სწავლება/სწავლის ინტეგრირება და ii) კომუნიკაციის გაფართოება. განისაზღვრა ხუთი სტრატეგიული მიმართულება: კვლევა, სწავლება და სწავლა, რესურსები, მენეჯმენტის სისტემა, ინტერნაციონალიზაცია და ურთიერთობები, რომლებიც დამატებითაა განხილული სტრატეგიულ მიზნებში, გეგმებსა და საქმიანობებში.

ამ ჩარჩოებში შეიქმნა ძალიან დეტალური 3-წლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც კონკრეტული ღონისძიებები უკავშირდება დაუყოვნებლივი ქმედებების განხორციელების (1 წელი), მოკლევადიან (3 წელი) ან უფრო გრძელვადიან (7 წელი) გრაფიკებს. სამოქმედო გეგმა იერარქიულ სტრუქტურას წარმოადგენს და მასში იდენტიფიცირებულია სტრატეგიული მიმართულებები (5), რომლებიც გაანალიზებულია სტრატეგიული მიზნებში (12), მიზნებსა (29) და საბოლოოდ, მოქმედებებში (100). შეფასების ინდიკატორები, შესრულების პასუხისმგებლობა და მონიტორინგის მექანიზმები განისაზღვრება თითოეული კონკრეტული მოქმედებისთვის. საერთო ჯამში, სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმა სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს. ისინი ფოკუსირებულია უნივერსიტეტის საქმიანობის გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა სწავლება და სწავლა, კვლევა, ინტერნაციონალიზაცია. გარდა ამისა, იგი ადგენს თანმიმდევრულ მიდგომას ინფრასტრუქტურის, მენეჯერული სტრუქტურებისა ან ადამიანური უნარების თვალსაზრისით, რესურსებთან დაკავშირებული ქმედებების გათვალისწინებით. მიმანიშნებელი შემთხვევები მოიცავს: პროფესიული პროგრამების დანერგვას (ასოცირდება ახალქალაქში არსებული შენობების გაუმჯობესებასთან და ახალი ადმინისტრაციული სტრუქტურის დამყარებასთან); კვლევის გაღრმავებას (ასოცირდება აკადემიური პერსონალის ადამიანური რესურსების ახალ პოლიტიკასთან); ინტერნაციონალიზაციას (ასოცირდება ახალ ადმინისტრაციულ სტრუქტურასთან) და ა.შ.

ჯგუფი აცნობიერებს ამ პროექტის განხორციელებაში ჩადებულ დიდ ძალისხმევას, რაც ნამდვილად განსაზღვრავს გზას სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. სამწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელება ამჟამად პირველ ეტაპზეა. აკრედიტაციის ვიზიტიდან და ინტერვიუებიდან ჩანს, რომ ამჟამად მიმდინარეობს პირველი წლისთვის დაგეგმილი საქმიანობები და მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები არ აღინიშნება. მიუხედავად ამისა, გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო ეფექტური მენეჯმენტის მიღწევის უზრუნველსაყოფად, სამოქმედო გეგმა უნდა იყოს დაკავშირებული ბიუჯეტის სპეციალურ ნაწილთან, ადამიანური და მატერიალური რესურსების მოთხოვნებთან ერთად. ეს, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს პრიორიტეტების განსაზღვრასა და პროგრამების განხორციელებისას გადაწყვეტილების მიღებას. ამავე დროს, რაოდენობრივი სამიზნეები უნდა იყოს მითითებული ინდიკატორებისთვის საჭიროების შემთხვევაში (მაგ. ელექტრონული რესურსების წილის გაზრდა სწავლებაში, ერთობლივი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელება, სტუდენტების ჩართულობის გაზრდა და ა.შ.).

ვიზიტის დროს ჯგუფმა შენიშნა არც თუ ისე მჭიდრო კავშირი ფაკულტეტსა და სამოქმედო გეგმას შორის. მაგალითად, დეკანები ან ფაკულტეტის საბჭოს წევრების მითითებები ეხებოდა პროცესებს, რომლებიც არ იყო მოცემული გეგმაში (მაგ. ახალი პროგრამების

დაგეგმვა, საზოგადოების მოქმედებები და ა.შ.). ფაკულტეტები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი და საკუთარ თავზე იღებდნენ პასუხისმგებლობას მათ განვითარებასთან დაკავშირებულ ქმედებებზე. განხორციელების პერიოდის დარჩენილი ნაწილისთვის, სამოქმედო გეგმა უნდა იყოს სტრუქტურირებული არა მხოლოდ სტრატეგიული პრიორიტეტების, არამედ ოთხივე ფაკულტეტთან და უნივერსიტეტთან დაკავშირებული ქმედებების შესაბამისად.

ჩამოყალიბებულია "სტრატეგიული განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი", რომელიც მოიცავს კვარტალურ და ნახევარ წელიწადში ერთხელ შეხვედრებს, ხოლო წლის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი ამზადებს სამოქმედო გეგმის დასკვნას. ვიზიტის დროს, ყველა ღონისძიება, რომელიც უნდა ყოფილიყო განხორციელების ეტაპზე, შეესაბამებოდა გეგმას. სამოქმედო გეგმის განხორციელება ძალიან ადრეულ ეტაპზეა და მონიტორინგის მექანიზმის ეფექტურობასთან დაკავშირებული დასკვნების გაკეთება ჯერჯერობით შეუძლებელია. ვინაიდან სტრატეგიული გეგმა თავად ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების ერთეულის შექმნას, მოსალოდნელია, რომ ამ ერთეულს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ფუნქცია მიენიჭოს. გარდა ამისა, ჯგუფის რჩევაა, რომ სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებული ფუნქციები არ იყოს შერწყმული საერთაშორისო ურთიერთობებთან და PR–თან, რადგან ისინი არსითა და უნარების მოთხოვნების მიხედვით ძალიან განსხვავდებიან.

ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი ძირითადი შეშფოთება გამოწვეულია სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის არარსებობით. SWOT ანალიზით, რომელიც გაკეთდა სტრატეგიულ დაგეგმვაში, ,,დემოგრაფიული პრობლემები და, შესაბამისად, ახალი სტუდენტების ნაკლებობა საფრთხეს წარმოადგენს". გარკვეული პროგრამები უკვე დაიხურა კიდეც, სტუდენტების არყოლის გამო. თავის მხრივ, სენატის წევრებს წინააღმდეგობრივი შეხედულებები ჰქონდათ. განსხვავებული შეხედულებების მიმართ არ ყოფილა ცუდი დამოკიდებულება, პირიქით, მათ მიესალმნენ კიდეც, თუმცა არანაირი გეგმა არ ჩანს ამ საკითხის მოსაგვარებლად პროაქტიული თუ რეაქტიული გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ოქმი N 1, რეზოლუცია No. 3 12/2/2019)
- მისია და სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებსაიტებზე - http://www.sjuni.edu .ge
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სენატთან, ფაკულტეტის დეკანებთან და ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან.
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის ოფისთან, ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ოფისთან

რეკომენდაციები:

- სამოქმედო გეგმის ყველა ელემენტი უნდა იყოს დაკავშირებული ბიუჯეტის კონკრეტულ თანხებთან, ადამიანურ რესურსებთან და მატერიალურ მოთხოვნებთან, რათა ხელი შეეწყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესებს მონიტორინგში, პრიორიტეტულ საქმიანობებსა და სამომავლო ცვლილებებში.

- ინდიკატორები, საჭიროების შემთხვევაში, უნდა უკავშირდებოდეს მიზნებს (სამიზნე ნიშნულებს).

ფაკულტეტები უფრო მეტად უნდა უკავშირდებოდნენ სტრატეგიულ გეგმას განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომლიც მათ განვითარებას ეხება.

რჩევები: • ერთიანი სამომავლო გეგმის განსაზღვრა სტრატეგიული გეგმის ნაწილი უნდა გახდეს, რათა შეიქმნას ისეთი სტრატეგიები და მოქმედებები, რომლებიც შეამცირებს SWOT– ის ანალიზში გამოვლენილ საფრთხეებსა და რისკებს.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და ღონისძიებების განხორციელებას.
○ უსდ-ს მმართველ ორგანოთა არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, და კანონმდებლობის შესაბამისი. ○ უსდ-ს ხელმძღვანელობა/მმართველი ორგანო უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის ეფექტიან მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა განახლდა 2016 წელს. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურა შეესაბამება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. მმართველი ორგანოებია: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის თავმჯდომარე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მმართველი ორგანოები უზრუნველყოფენ ინსტიტუტის ეფექტურ და უწყვეტ განვითარებას და მუშაობენ დაწესებულების, როგორც რეგიონალური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გაძლიერებაზე. ისინი ცდილობენ რეგიონის ქართველ და ეთნიკურ უმცირესობებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ემსახურებიან საგანმანათლებლო ცენტრს და ადგილობრივ ბაზარს უზრუნველყოფენ კვალიფიციური კურსდამთავრებულებით. მმართველი ორგანოების და სხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული, არ კვეთს ერთმანეთს და აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს. ისინი უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების სტრატეგიულ განვითარებასა და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და ინსტიტუტის მიზნების მიღწევას. ამასთან, არ არსებობს ცალკეული სტრუქტურული ერთეული, რომელსაც უშუალოდ ევალება საუნივერსიტეტო სტრატეგიის შემუშავება და უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების განხორციელება, რადგან 2016 წლიდან ჩამოყალიბდა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია ამ

საქმიანობებზე. იგივე მდგომარეობაა ინტერნაციონალიზაციის კუთხითაც.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უსდ გეგმავს სადოქტორო სკოლის შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კვლევითი ელემენტების შემუშავებაზე/გაძლიერებაზე და სადოქტორო პროგრამების განხორციელებაზე. შეფასების ჯგუფის ვარაუდით, უფრო ეფექტური იქნებოდა კურსდამთავრებულთა სკოლის დაარსება, რომლის ბაზაზეც განხორციელდება როგორც სამაგისტრო, ასევე სადოქტორო პროგრამები. ეს სტრუქტურული ერთეული ხელს შეუწყობს სამაგისტრო და სადოქტორო სტუდენტების მონაწილეობას კვლევითი საქმიანობაში, საგრანტო წინადადებებსა და ა.შ., რადგან ადმინისტრაციული მხარდაჭერა აუცილებელია ახალი თაობის კვლევების შედეგების შემდგომი გაძლიერებისათვის.

მმართველი ორგანოების არჩევის / დანიშვნის წესები შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს. პროცესი ტარდება წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც განიხილავს კანდიდატთა კვალიფიკაციას, გამოცდილებას, ხედვას და განვითარების გეგმებს. უსდ-ს მმართველ ორგანოთა არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, და კანონმდებლობის შესაბამისი.

აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული მართვის ორგანოს გადაწყვეტილებები მიიღება დროულად, პერსონალის შესაბამის წევრებთან და სტუდენტებთან თანამშრომლობით, მათი კმაყოფილების კვლევის შედეგებისა და მრგვალი მაგიდის შეხვედრების საფუძველზე. რექტორს აქვს ყოველთვიური შეხვედრები სტუდენტებთან, პრობლემური საკითხების ღია განხილვისთვის.

უსდ იყენებს e-Flow დოკუმენტბრუნვის სისტემას, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობას, არის მოქნილი და ზოგავს დროს. დოკუმენტბრუნვის წესში აღწერილია დოკუმენტების აღრიცხვისა და შემდგომი მოქმედებების პროცედურები, არქივის უზრუნველყოფის წესები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსდ აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეესტრი არ შეიცავს ზუსტ მონაცემებს და საჭიროებს გაუმჯობესებას.

ინსტიტუტში მიმდინარე ყველა ძირითადი პროცესის ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, უსდ-მ შეიმუშავა გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუტში მიმდინარე ყველა ძირითადი ბიზნესპროცესის უწყვეტობას. გეგმა ითვალისწინებს ყველა შესაძლო რისკს, მათი პრევენციის მექანიზმებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი პრევენცია შეუძლებელია, უსდ-ს აქვს რისკის შემცირების სტრატეგია. გეგმაში მოცემულია კონკრეტული ინფორმაცია რისკის შეფასების, პრევენციის ღონისძიებებისა და პასუხისმგებელი პირების შესახებ.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა ინტერნეტიზაციის პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს სტუდენტთა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას, ერთობლივი პროგრამების განხორციელებას, საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობას და ა.შ. ინტერნაციონალიზაცია ინსტიტუტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ამჟამად უსდ- ს აქვს 32 ხელშეკრულება ევროკავშირის 11 უნივერსიტეტთან, ისევე როგორც მეზობელ ქვეყნებთან. მემორანდუმის ასლები ვიზიტის დროს გადაეცა ექსპერტთა ჯგუფს. უსდ მონაწილეობს, როგორც პარტნიორი 3 ERASMUS პროექტში. კიდევ ერთი პროექტი ახლახან დაიწყო, ხოლო ოთხი TEMPUS პროექტი დასრულდა 2012-2016 წლებში. 2013 წლიდან დაწყებული, 11-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში; მაგალითად. ERASMUS + პროექტის მეშვეობით 2015 წელს ერთი პროფესორი და ორი სტუდენტი მონაწილეობდა გაცვლით პროგრამაში, რუმინეთში, ალექსანდრო იოან

კუზას უნივერსიტეტში. 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში ორი პროფესორი და ერთი სტუდენტი მიდის სოციალურ მეცნიერებათა უნივერსიტეტში, ქალაქ ლოძში, პოლონეთში, და რუზომბერკის კათოლიკურ უნივერსიტეტში, სლოვაკეთში. გარდა ERASMUS მობილობისა, უნივერსიტეტს აქვს ორმხრივი ხელშეკრულებები მასწავლებლებისა და სტუდენტთა მობილობისთვის, რომლის თანახმად, 50-ზე მეტმა სტუდენტმა გაატარა სასწავლო პერიოდი (საზაფხულო/ ზამთრის სკოლებში) თურქეთსა და შვედეთში. პროფესორები და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობენ ჯავახეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა კვლევით პროექტში სტამბულში, თურქეთში, კონგრესებში (მაგ., კავკასიის უნივერსიტეტების ასოციაციის მიერ ბაქოში და ანკარაში ორგანიზებულ კონგრესებში) და საერთაშორისო კონფერენციებში. ზამთრისა და საზაფხულო სკოლები ორგანიზებულ იქნა 4-ჯერ ერევანის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, 6-ჯერ ერატრუმში ათათურქის უნივერსიტეტთან და ა.შ., 2015-2019 წლების პერიოდში უსდ-ს 50-ზე მეტი სტუდენტის მონაწილეობით. სავარაუდოდ, პროფესორების მობილობა გაიზრდება - წელს ხუთი განაცხადი გაკეთდა ევროპულ უნივერსიტეტებში ვიზიტებისთვის. ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და გამოყენებისთვის ინგლისური ენის არცოდნა, როგორც ჩანს ბარიერს ქმნის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- უსდ-ს სტრუქტურა
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები.
- მმართველი ორგანოების არჩევის / დანიშვნის პროცედურები - საარჩევნო რეგლამენტი
- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესი
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა
- ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა
- მენეჯმენტის პოლიტიკა
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტი განიხილავს ადმინისტრაციული ერთეულების რესტრუქტურიზაციას, ამიტომ მან უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა, რადგან ეს ორი სფერო უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს ეხება. ამ ორი განყოფილების ფუნქციები განსხვავებულია და სხვადასხვა უნარებს მოითხოვს. საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული განვითარების და საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთი ოფისის შექმნის ამჟამინდელი გეგმა არ შეიძლება ემსახურებოდეს უნივერსიტეტის მიზნებს.

- დაიწყეთ მოწვეული პერსონალისა და დოქტორანტების შერჩევა, რომლებიც კარგად ფლობენ ინგლისურ ენას, რათა გაიზარდოს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის შანსი და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა.

- უზრუნველყავით, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეესტრში იყოს ზუსტი მონაცემები.

რჩევები:

- ჩამოაყალიბეთ კურსდამთავრებულთა სწავლების სკოლა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება როგორც სამაგისტრო, ასევე სადოქტორო დონის პროგრამები.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- რექტორის ყოველთვიური შეხვედრები სტუდენტებთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების აზრის მოსმენასა და პატივისცემას.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- დაწესებულებას აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფუნქციონირებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების, უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტისა და ოფისის დებულების, სხვა შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე. ოფისის საქმიანობა მიმართულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და უმაღლესი განათლების სტრატეგიული მიზნების და მისიის ეფექტური განხორციელებისაკენ. უსდ-ს სტრუქტურული ერთეულები აღიარებენ ხარისხის უზრუნველყოფის/ხარისხის კულტურის მნიშვნელობას სამუშაო პროცესში. ისინი ასევე აცნობიერებენ ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების აუცილებლობას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მხარს უჭერს უწყვეტ წინსვლას და მოქმედებს PDCA ციკლის პრინციპებზე დაყრდნობით. –

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი პრიორიტეტული სფეროებია: საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა; სამეცნიერო საქმიანობის შეფასება; მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების სისტემა.
ოფისი პერიოდულად აფასებს:

–საგანმანათლებლო პროგრამების;
–სასწავლო პროცესის;
–აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუების;
–სტუდენტური მომსახურებისა და ბიბლიოთეკის;
–სტრატეგიული გეგმის შესრულების ხარისხს.

შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურები, თუმცა არ მომხდარა ყველა საგანმანათლებლო პროგრამის განახლება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სასწავლო შედეგების სათანადო შეფასება.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით, QA სისტემა ხორციელდება ფაკულტეტის დონეზე. ამასთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელი არ ჰყავს და საქმიანობას სპეციალისტები ასრულებენ. შეფასების

ჯგუფის აზრით, ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის კოორდინაცია და მექანიზმების განხორციელება უფრო ეფექტური გახდება, თუ ეს სისტემა გაძლიერდება ფაკულტეტის დონეზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ცდილობს უზრუნველყოს დაწესებულების საქმიანობისა და მისი რესურსების განვითარება, ატარებს გამოკითხვას სტუდენტისა და პერსონალის კმაყოფილებაზე, აფასებს მისი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მუშაობას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს უმაღლესი განათლების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა შეფასების სისტემა ყველა პერსონალისთვის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული). სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ შემუშავებაში.

უსდ-მ შეიმუშავა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმები და ამ შედეგებს იყენებს სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვის. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტები აკონტროლებენ სტუდენტების აკადემიურ მოსაზრებებს ყოველი სემესტრის ბოლოს, რადგან აკადემიური მოსწრება წარმოადგენს სასწავლო პროცესის მთავარ შედეგს და, შესაბამისად, მისი ყველაზე აღიარებული მაჩვენებელია. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზზე დაყრდნობით ფასდება საგანმანათლებლო პროგრამებისა და ინდივიდუალური კურსების ხარისხი, აგრეთვე შეფასების მეთოდებისა და აკადემიური პერსონალის მუშაობის ადეკვატურობა. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებზე მსჯელობენ ფაკულტეტის საბჭოებში. სტუდენტთა დაბალი მოსწრების მქონე ლექტორები ინფორმირებულნი არიან ვითარების შესახებ და უზრუნველყოფენ გაუმჯობესების გზებსა და მეთოდებს (ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დღის წესრიგი №27/02/01, 25.02.2019; იურიდიული ფაკულტეტი, დღის წესრიგი №13, 23.07.2019, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, დღის წესრიგი №12, 18.02.2019; განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, დღის წესრიგი №6, 05.06.2019).

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან ჯგუფის მიერ ირკვევა, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის კვლევების შედეგებს გადაწყვეტილების მიღებაში, და შეფასების შედეგები გამოიყენება მისი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის. მაგალითად, ვიზიტის დროს, უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა პირველკურსელი სტუდენტების გამოკითხვის შედეგები და უნივერსიტეტის მენეჯმენტის უკუკავშირი, სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია QA ოფისის ძირითადი დასკვნების, რეკომენდაციების და ადმინისტრაციის მხრიდან რეაქციის შესახებ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშში, 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის, ნათქვამია, რომ ოფისი აქტიურად მონაწილეობს უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და მონიტორინგის პროცესში. მოხსენებაში აღწერილია, თუ რომელი ღონისძიებები ტარდება ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად. 11 რეკომენდაცია შემუშავებულია ამ მიზნების მისაღწევად.

უსდ- ს აქვს სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვის მექანიზმი, რაც ხორციელდება იმ მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რესურსებს, და 2019 წლის განმავლობაში ინსტიტუტის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ინდიკატორებსა და სტანდარტებს, როგორიცაა სტუდენტთა ჩარიცხვისა და მობილობის დინამიკა, კურსდამთავრებულთა დასაქმება, შესაბამისი

ადამიანური და მატერიალური რესურსები, ბაზრის კვლევის შედეგები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის თანაფარდობა და სტუდენტებთან და ა.შ.. თუმცა ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არ შეცვლილა და არც სპეციალური გაანგარიშება მომხდარა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - სახელმძღვანელო პრინციპი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაცია;
- პერსონალის კვლევის შედეგები;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რიცხოვნობის განსაზღვრის წესი.
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით სასწავლო პროგრამების შეფასებისა და სრულყოფის პროცედურები ყველა ფუნქციური პროგრამისთვის.
- უზრუნველყავით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უფრო ეფექტურად ხორციელდებოდეს ფაკულტეტის დონეზე.
- უზრუნველყავით, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება იყოს ნათელი და გამჭვირვალე და ითვალისწინებდეს ინსტიტუტის მიერ დამტკიცებულ ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატორობის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტებისა და პერსონალის ეთიკისა და ქცევის კოდექსი და განსაზღვრული აქვს რეგულაციის დარღვევებზე რეაგირების პროცედურები. ეთიკის კოდექსი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. თანამშრომელთა და სტუდენტთა ეთიკის კოდექსს ამტკიცებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სენატი. ეთიკის პრინციპები ხელს უწყობს

დისციპლინას, თანამშრომლებისა და სტუდენტების უფლებების დაცვასა და თავისუფლებას, უზრუნველყოფს სამართლიან ანაზღაურებას, უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს, უნივერსიტეტსა და პერსონალს/უნივერსიტეტსა და სტუდენტებს შორის კარგ ურთიერთობებს და ეთიკური ნორმების დაცვას სამუშაო ადგილზე. კოდექსის დარღვევისთვის პასუხისგების სახეებს ითვალისწინებს უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები.

თავად უნივერსიტეტი ვალდებულია დაიცვას პერსონალისა და სტუდენტების უფლებები საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის, სასწავლო პროცესის რეგულაციებისა და უსდ-ს სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
უნივერსიტეტი მონაწილეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში Erasmus + INTEGRITY - ,,აკადემიური კეთილსინდისიერება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხიანი სწავლებისთვის", პროექტის ნომერი: *585841 EPP-1-2017-1-GE-EPPKA2-CBHE-SP.).* ამ პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა პლაგიატის აღმოჩენის კომპიუტერული პროგრამა TURNITIN. ხარისხის უზრუნველყოფის ოფისმა ჩაატარა არაერთი ინფორმაციული შეხვედრა ყველა ფაკულტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის, ესეებსა და სადისერტაციო ნაშრომებზე მუშაობის დროს TURNITIN პროგრამის გამოყენების მნიშვნელობისა და პლაგიატის თავიდან აცილების შესახებ. შესაბამისად, შეტანილ იქნა სათანადო ცვლილებები საბაკალავრო / სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების მომზადების სახელმძღვანელო პრინციპებში, სადაც თემის შემოწმების ვალდებულება არის ნაშრომის დაცვის ერთ – ერთი კრიტერიუმი. გამოკითხულმა მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა იცოდნენ ამ პრინციპების არსებობისა და როლის შესახებ. TURNITIN პროგრამის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკადემიური წერის კურსებში. პროგრამის შესაბამისი განხორციელების უზრუნველსაყოფად ლექტორებისთვის ჩატარდა სპეციალური ტრენინგები. მენეჯმენტს მიეწოდება Turnitin და Moodle პლატფორმების კურსებისა და მომხმარებლების რაოდენობა, თანამშრომლების უკუკავშირი და რეაგირება. მონაცემები მოპოვებულია ვებგვერდიდან და ლექტორებისგან, შესაბამისად, შეგროვებულია უსდ-ს მიერ INTEGRITY მენეჯმენტის მიხედვით და საჭიროებისამებრ ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებს შორის.

უსდ 2017 წლიდან ახორციელებს პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და რეაგირების მექანიზმებს, რათა ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის გარემოში აკადემიურ კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას. შესაბამისად, უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა „სსიპ სამცხე – ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის კომისიის მუშაობის წესი“, რომელიც განსაზღვრავს პლაგიატის კომისიის წესებს, პრინციპებს, მიზნებს, ამოცანებს, უფლებამოსილებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესს. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავდა დუბლინის (ირლანდია), ვენის (ავსტრია), უფსალას (შვედეთი) და როჰამპტონის (ინგლისი) უნივერსიტეტების გამოცდილებისა და მათი ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- თანამშრომელთა და სტუდენტთა ეთიკის კოდექსი;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის აღმოჩენის კომისიის მუშაობის წესი;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამცხე – ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარებისა და შემუშავების წესი“. ეს წესი შეესაბამება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის წესს“ და „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის ბრძანებას No. 69/ N“. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესები, რომლებიც მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს: აკადემიურ / მოწვეულ / ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. პროცესი კოორდინირებულია პროგრამის მენეჯერის მიერ და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უნივერსიტეტის კვლევის პრიორიტეტებს, კონსულტაციებს გარე პარტნიორებთან, დარგის სპეციფიკურ საკითხებსა და საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას. ადამიანური და სხვა რესურსებთან დაკავშირებული საჭიროებები განიხილება, როგორც უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისობა სტუდენტთა მომსახურების ხარისხთან. ადმინისტრაციული ერთეულები, როგორიცაა ადამიანური რესურსები, ფინანსური დაგეგმვა, ბიბლიოთეკა და საერთაშორისო ურთიერთობები, ჩართულია იმ ასპექტებში, რომლებიც ეხება მათ ფუნქციებს. გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში შედის ფაკულტეტის საბჭო და აკადემიური საბჭო. ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი ატარებს არბიტრაჟის პროცესს ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ფაკულტეტების დეკანებთან, აკადემიურ საბჭოსთან, აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ პროგრამის დაგეგმვის პროცედურები სათანადოდ ხორციელდება. საჩვენებელი მაგალითები, რომლებიც გამოიკვეთა ინტერვიუების დროს, მოიცავს: - კონსულტაციებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რომელშიც აისახა, რომ უნივერსიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს აგრარულ კვლევებსა და ვეტერინარიის პროგრამას (რომელიც ახლახან აკრედიტებულია), ასევე პროფესიულ პროგრამებს, რომლებიც გაიხსნება ახალქალაქის კამპუსში.- გაძლიერებულია ინჟინერიის, აგრარულ და

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროგრამები აგროქიმიის, აგროტექნოლოგიის, კვების პროდუქტების წარმოების და ა.შ. მიმართულებით.

- სტუდენტების შეთავაზება საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტაჟირების შესაძლებლობის შესახებ და დამსაქმებლების მზაობა, სტაჟირებაზე მიიღონ და დაასაქმონ სტუდენტები.
- რეგიონში არის მათემატიკის მასწავლებლების დეფიციტი, რაც უბიძგებს მათემატიკის მასწავლებლების ახალი ინტეგრირებული პროგრამის დაგეგმვას.
- QA– ს ოფისმა აკადემიურ საბჭოზე წარდგენამდე, პროგრამები განსახილველად დაუბრუნა ფაკულტეტებს (მაგალითად; ასტრონომია, ვეტერინარია, კრიმინალური ლაბორატორია და ა.შ.)
- იუსტიციის სასამართლოს უფროსი (დამსაქმებელი ინტერვიუზე) იურიდიულ ფაკულტეტზე უკუკავშირს უზრუნველყოფს.

ამჟამად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს 24 აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამას: აქედან 10 საბაკალავრო დონეზეა, 9 - სამაგისტრო საფეხურზე, 3 კი სადოქტორო დონეზე. უნივერსიტეტს ასევე აქვს ორი მოკლევადიანი (60 კრედიტიანი) პროგრამა: ქართული ენის სწავლება და მასწავლებელთა ტრენინგები.

რვა სხვა პროგრამა დახურვის პროცესშია. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარებისა და შემუშავების წესი "მოიცავს პროგრამების შეცვლის ან შეჩერების / გაუქმების პროცედურებს. დაცულია სტუდენტების ინტერესები პროგრამის შეცვლის / გაუქმების შემთხვევაში. უსდ-ში მათი შემდგომი სწავლების გაგრძელება გათვალისწინებულია „სწავლის პერიოდში სტუდენტთა მობილობისა და განათლების აღიარების წესის" შესაბამისად. ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა დაედასტურებინა ამ წესის დაცვა, რადგან ერთი გამოკითხული სტუდენტი შეწყვეტილ პროგრამაში იყო ჩარიცხული და მას შესაძლებლობა მიეცა გადაეტანა კრედიტები და სწავლა სხვა პროგრამაზე გაეგრძელებინა.

უნივერსიტეტში მიმდინარეობს პროგრამების ახალი სტანდარტების შესაბამისი განახლების პროცესი. რამდენიმე პროგრამის გადაკეთება უკვე განხორციელდა ახალი სტანდარტების საფუძველზე, მაგრამ მათი თითქმის ნახევარი 2012– 2014 წლების აკრედიტაციის საფუძველზე მუშაობს. უნივერსიტეტის "სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარებისა და შემუშავების წესის" თანახმად, პროგრამის შეცვლის საფუძველია "შიდა და გარე შეფასების, სტუდენტების, კურსდამთავრებულთა შეფასების ან სხვა დაინტერესებული მხარის უკუკავშირის მონაცემები კმაყოფილების კვლევიდან" და ,,აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციებიდან". გარკვეულ პროგრამებში არ შეინიშნება შესაბამის სფეროებში ძირითადი შესწორებები. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებები არ არის ასახული სამართლის საბაკალავრო პროგრამაში შესაბამის კურსებზე; სადოქტორო პროგრამის მიზნები ინფორმატიკაში შეზღუდულია გარკვეულ დარგებში. ზოგი მათგანი მოძველებულია და არ ასახავს ინფორმატიკის ევოლუციას მონაცემთა მეცნიერებაში, ინტერნეტის სისტემაში, ინტელექტუალურ და მანქანათა სწავლების მეთოდებსა და სისტემებში და ა.შ.).

ზოგადად, საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის, ისინი, რომლებიც შემუშავებულია, განვითარების პროცესში ან საწყის ეტაპზეა, მიზნად ისახავს უნივერსიტეტის მისიის რეალიზაციას. ეს ხდება სტუდენტებისთვის შესაბამისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გადაცემის გზით, მათი შემდგომი პროფესიული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭერით, ეროვნული და სამოქალაქო ცნობიერების მქონე სტუდენტთა აღზრდით, რომელთაც შეეძლებათ წვლილი შეიტანონ რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია
- პროგრამის მიმართულებები
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების პროცედურები
- პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლების მექანიზმები, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის / გაუქმების შემთხვევაში
- ინტერვიუები აკადემიურ საბჭოსთან, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სოციალურ პარტნიორებთან.

რეკომენდაციები:

- პროგრამების მუდმივი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს აკრედიტაციის მიმდინარეობის მიუხედავად, რათა მოხდეს შესაბამისი დარგების განვითარების შეფასება.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შემუშავებისას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი იცავს მოქმედ კანონმდებლობას და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) სახელმძღვანელო მითითებებს. ყველა საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. სამაგისტრო პროგრამები არის 120 კრედიტი მოცულობის, ხოლო სადოქტორო პროგრამებში - 180 კრედიტიანი. სასწავლო კომპონენტი არ აღემატება 60 კრედიტს. სამივე დონის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სავალდებულო და არჩევითი კურსებს. დაწყებითის მასწავლებლების ინტეგრირებული სამაგისტრო დონის პროგრამა, რომელსაც აქვს 300 – კრედიტიანი დიზაინი, აგებულია შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. ორი მოკლე ვადიანი პროგრამა, როგორიცაა ქართულ ენაში მომზადება და მასწავლებელთა მომზადების კურსი, მოიცავს 60 ECTS კრედიტს.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მეტწილად აგებულია კომპონენტებს შორის ლოგიკურ კავშირსა და შედეგებზე. მთლიანობაში, პროგრამების შინაარსი შეესაბამება მიზნებს, სტრუქტურა კი საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეუფერხებლად მიაღწიონ პროგრესს. თითოეული დონის სპეციფიკური შენიშვნები მოცემულია შემდეგ პუნქტებში:

საბაკალავრო საფეხურის პროგრამები

ყველა პირველი დონის პროგრამა ემყარება 8 სემესტრში გამოყოფილი 240 ECTS დატვირთვას. ყველა პროგრამა მოიცავს ზოგად (საუნივერსიტეტო) კურსებს, ძირითადი დარგის კურსებს, არჩევით საგნებს სპეციალობიდან ან თავისუფალ არჩევით საგნებს სხვა სფეროდან. სტაჟირება (10 კრედიტი) ან / და საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი) არჩევითია. ჯგუფი ამ ვარიანტს კარგ პრაქტიკად მიიჩნევს, რადგან სტაჟირება სტუდენტებს საშუალებას აძლევს პირველი კონტაქტი ჰქონდეთ შრომით ბაზარზე, ხოლო ბაკალავრიატის ნაშრომი წარმოადგენს ფუნდამენტურ საქმიანობას. ბაკალავრიატის დისერტაციის თემის სტაჟირებასთან დაკავშირებამ შეიძლება სტუდენტების სარგებელი გაზარდოს. იმის გათვალისწინებით, რომ სოციალურმა პარტნიორებმა გამოთქვეს სურვილი შესთავაზონ სტაჟირება სტუდენტებს, უნივერსიტეტმა უნდა წარმოადგინოს ეს ვარიანტი სხვა პროგრამებზეც, საჭიროების შემთხვევაში. უმეტეს შემთხვევაში, მოგვიანებით ეტაპზე ჩატარებულ კურსებს შესაბამისი წინაპირობები აქვთ; იგივე უნდა იყოს სტაჟირების, ჯგუფური პროექტებისა და საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში.

სამაგისტრო დონისა და ინტეგრირებული სწავლების პროგრამები

მეორე საფეხურის პროგრამებში შემოთავაზებულია როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსები (120 კრედიტი) და მოიცავს სამაგისტრო დისერტაციას (30 კრედიტი). გარკვეული პროგრამები (ბიზნესის ადმინისტრირება, კრიმინოლოგია, აგროტექნოლოგია) მოიცავს სასწავლო პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტს სწავლის ბოლო სემესტრში. ამის მიუხედავად, რადგან ტრენინგის პრაქტიკა გულისხმობს წინასწარი სწავლის გამოყენებას, მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული წინაპირობები (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა შეიძლება იყოს ამის კარგი მაგალითი).

სამაგისტრო ნაშრომისთვის მომზადება, რომელიც ჩვეულებრივ მოიცავს სამეცნიერო წერასა და კვლევის მეთოდოლოგიას, განსხვავდება პროგრამებისგან. მხოლოდ ერთი პროგრამა (ბიზნესის ადმინისტრირება) მოიცავს ორივეს. ორი პროგრამა (კრიმინოლოგია და ქართული ლიტერატურის ისტორია) მოიცავს მხოლოდ სამეცნიერო წერას. ორი პროგრამა (აგროტექნოლოგია და დაწყებითი განათლების პედაგოგების ინტეგრირებული სწავლება) მოიცავს მხოლოდ კვლევის მეთოდოლოგიას, ხოლო ოთხ პროგრამას (ბიზნესის ინფორმატიკა , ასტრონომია, საქართველოს ისტორია და ქართველური კვლევები) არ მოიცავს რაიმე მსგავს კურსს.

სადოქტორო პროგრამები

სადოქტორო პროგრამები შეიცავს 45-60 კრედიტის სასწავლო კომპონენტს, რომელიც მოიცავს კურსებს კვლევის მეთოდოლოგიაში, საგნობრივ სავალდებულო და არჩევით კურსებს, პროფესორის ასისტენტობასა და სემინარებს. სამეცნიერო წერის უნარები მოცემულია მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაში. სხვა სადოქტორო პროგრამების სტუდენტები ისარგებლებენ იმ შემთხვევაშიც, თუ მათი პროგრამები მოიცავს სამეცნიერო წერის უნარის განვითარებას, რაც პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილია.

სხვადასხვაობა გამოვლინდა პროგრამების სწავლის შედეგებს შორის. გარკვეულ პროგრამებს, ძირითადად მათ, რომლებიც ახლად აკრედიტებულია, აშკარად აქვთ განსაზღვრული სწავლის შედეგები უმაღლესი განათლების დონისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის და ახალი სტანდარტების შესაბამისად. ძირითადად, ესენია 2016 წლის შემდეგ აკრედიტებული პროგრამები: ბიზნესის ფაკულტეტის პროგრამები. ასევე, მათში შედის 2012 წელს აკრედიტებული განათლების ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამები და ასტრონომიის სამაგისტრო პროგრამა. პროგრამების კიდევ ერთ ჯგუფს აქვს მკაფიო სწავლის შედეგები ძველი სტანდარტების შესაბამისად (საჯარო

ადმინისტრირება და ინფორმაციული ტექნოლოგია).

ამასთან, ჯერ კიდევ არსებობს პროგრამები, რომელთა სწავლის შედეგები არ შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამის ინსტრუქციებს. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია ნათქვამი: "პროგრამების სწავლის შედეგების რაოდენობა 5-დან 12-მდეა". ,,განაცხადი უნდა ასახავდეს შედეგს, არა პროცესს და ამიტომ მოკლედ და დეტალების გარეშე უნდა იყოს აღწერილი..." სამართალმცოდნეობის პროგრამების, აგრარული მეცნიერების, აგროტექნოლოგიის, ბიზნეს ინფორმატიკის, ეკოლოგიის სწავლის შედეგები ფართოდ არის აღწერილი (გარკვეულ შემთხვევებში აღემატება 1000 სიტყვას). ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის სახელმძღვანელო პრინციპები შესაბამისობაშია ევროპული უმაღლესი განათლების სფეროს ნორმებთან. უნდა მოხდეს პროგრამების სწავლის შედეგების რესტრუქტურიზაცია, რათა აღიწეროს პროგრამის მთლიანი შედეგები და არა კურსის კომპონენტებთან დაკავშირებული შინაარსი ან სპეციფიკური უნარები და ცოდნა. მაგალითად, ინფორმაციული ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ეხება სპეციფიკურ IT ტექნოლოგიებს, რომლებიც უკვე მოძველებულია. რადგანაც ახალი ტექნოლოგიები ჩნდება, სწავლის შედეგები სამართალში და კრიმინოლოგიაში შინაარსს მეტ-ნაკლებად შეესაბამება. მეორეს მხრივ, პროგრამის შეთავაზება უნდა აისახოს სწავლის შედეგებში. მაგალითად, სამივე სადოქტორო პროგრამამ უნდა მოახდინოს სწავლების უნარის განვითარება უნივერსიტეტის დონეზე, მაგრამ ეს არ აისახება მათ შედეგებში.

ყურადღება უნდა მიექცეს სწავლის შედეგების როლს, რაც მხოლოდ პროგრამაში კი არ უნდა იქნას აღწერილი, არამედ მათი მიღწევა პროგრამის საშუალო კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს. ამ თვალსაზრისით, მიზნები მნიშვნელოვანია სწავლებისა და შეფასების მეთოდების შემუშავებისას. მაგალითად, ყველა სადოქტორო პროგრამა მოიცავს B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნას, როგორც სწავლის შედეგებს, რათა დოქტორანტებს შეეძლოთ საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება. ამასთან, დოქტორანტებთან ინტერვიუს დროს ჯგუფმა ვერ დაადგინა, რომ ეს მიზანი მიღწეულ იქნა.

სწავლების-სწავლის მეთოდები განისაზღვრება დარგის სპეციფიკის მიხედვით. პროგრამის რამდენიმე აღწერილობაში არ არის მითითებული სწავლებისა და სასწავლო აქტივობები. სტუდენტებთან გასაუბრებები შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ არაა გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები. ზოგმა მათგანმა არც კი იცოდა ელექტრონული პლატფორმის შესახებ. აკადემიური პერსონალის განვითარება ასევე უნდა მოიცავდეს სწავლების/სწავლის მიდგომებსა და ინსტრუმენტებს.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ვებ – გვერდის საშუალებით, სადაც განთავსებულია პროგრამების კატალოგი. კატალოგი მოიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტის ყველა პროგრამის შესახებ. კატალოგი განახლდება პერიოდულად, საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია
- პროგრამის მიმართულებები
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების პროცედურები
- ინტერვიუები აკადემიურ საბჭოსთან, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სოციალურ პარტნიორებთან.
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

- შეადგინეთ წინაპირობები ბაკალავრიატის სტაჟირებისთვის, ჯგუფური პროექტებისთვის და სამაგისტრო პრაქტიკისთვის, რადგან ეს საქმიანობები ეხება წინარე სწავლის გამოყენებას.

- საჭიროების შემთხვევაში განაახლეთ სამაგისტრო დონის და სადოქტორო პროგრამების სტრუქტურა, რათა სტუდენტებმა გამოიმუშაონ შესაბამისი დონის უნარები, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო წერასთან და კვლევის მეთოდოლოგიასთან.

- მოახდინეთ სწავლის შედეგების რესტრუქტურიზაცია გარკვეულ პროგრამებში, რათა მოხდეს პროგრამის მთლიანი შედეგების (რომელთა მიღწევაც შეიძლება დამოწმდეს) აღწერა.

- კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე აუცილებელია მომავალი დოქტორებისათვის, რადგან ისინი, სავარაუდოდ, უნივერსიტეტის მასწავლებლებისა და მკვლევარების ახალი თაობა იქნებიან. უზრუნველყავით ამ პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევა.

რჩევები:

- უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს სტუდენტთა სტაჟირება უფრო მეტი პროგრამის ფარგლებში, საჭიროებისამებრ.

- განაგრძეთ და გააღრმავეთ აკადემიური პერსონალის განვითარება სწავლა/სწავლების მეთოდოლოგიებში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და საშუალებას იძლევა დადგინდეს, მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა სასურველ შედეგებს, როგორც ეს განსაზღვრულია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამითა თუ სასწავლო კურსებით. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სტუდენტის ცოდნისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას. ორივე ითვლება პროგრამის წარმატების ყველაზე აღიარებულ ინდიკატორად.

რეგულაცია სტუდენტის ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებით აშკარად განსაზღვრავს შეფასების წესებსა და ინდიკატორებს და შესაბამისობაში მოდის სამართლებრივ აქტებთან და შინაგანაწესთან. სტუდენტთა შეფასების სისტემა მოიცავს ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და შეფასების მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა განსაზღვროს, თუ

რამდენადაა მიღწეული სასწავლო პროგრამით ან ცალკეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.

უნივერსიტეტის აკადემიური თავისუფლების კონცეფცია აისახება შეფასების პროცესზე. ლექტორს უფლება აქვს შეარჩიოს შესაბამისი შეფასების მეთოდები, ადეკვატური კომპონენტები და შეფასების ფორმები, ჩამოაყალიბოს შეფასების კრიტერიუმები. სტუდენტს საშუალება აქვს დაათვალიეროს თავისი შეფასების შედეგები ელექტრონული პროცესის მართვის სისტემის საშუალებით. ამასთან, ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ყველა სტუდენტი არ იცნობს ამ ელექტრონულ პლატფორმას. უნივერსიტეტმა უნდა ასწავლოს მათ, თუ როგორ გამოიყენონ ეს სისტემა. მან უნდა უზრუნველყოს სისტემა, როგორც უფრო ინფორმატიული და დამხმარე საშუალება, მაგალითად, ყველა შუალედური კომპონენტის შესატანად, სტუდენტებისთვის უკუკავშირის მისაწოდებლად, სასწავლო მასალების, საშინაო დავალების, თვითშეფასების ტესტების ასატვირთად და ა.შ.

შეფასების კიდევ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია პროგრამის სწავლის შედეგების შეჯამება. ახლახან აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები იწერება ისე, რომ ისინი იყოს გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. სასწავლო გეგმა შემუშავებულია თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის აღწერილი ინსტრუქციის შესაბამისად, სადაც მითითებულია რომელი კურსები, აქტივობები და კვლევის კომპონენტები ავითარებს სტუდენტის სწავლის კონკრეტულ შედეგებს. იგი ასევე მიუთითებს იმ დონეზე (ძირითადი, საშუალო, ღრმა), რომელზეც კონკრეტული კურსი ანვითარებს პროგრამის შესაბამის სასწავლო შედეგებს. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასების ინსტრუმენტები და მასალებია: პრეზენტაციები, ესეები, გამოცდის შედეგები და ა.შ. შეფასების არაპირდაპირი მეთოდი მოიცავს: სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების ინტერვიუების შედეგების ანალიზს და ა.შ.

შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების სპეციალური წესი. პროგრამის კოორდინატორი ქმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტებთან და აკადემიური პერსონალის წევრებთან ერთად. ისინი აფასებენ სწავლის შედეგებს და ახდენენ კრიტერიუმებთან შედარებას. მეთოდოლოგია თავდაპირველად შემუშავდა ბაკალავრიატისა და სამაგისტრო პროგრამების პედაგოგთა გადამზადების 300-კრედიტიანი პროგრამისთვის. დაიწყო მეთოდოლოგიის განხორციელების პროცესი, მაგრამ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ყველა პროგრამაში უნდა ასახოს თავისი მიდგომა.

SJSU– მ ჩამოაყალიბა სტუდენტური საჩივრების სისტემა, რომელიც რეგულირდება გამოცდებითა და სასწავლო პროცესების რეგულაციებით. მას შემდეგ, რაც სტუდენტს მიეწოდება ინფორმაცია თავისი შეფასების შედეგების შესახებ ელექტრონული პროცესის მართვის სისტემის საშუალებით, მას უფლება აქვს გაასაჩივროს გამოცდის შედეგი, როგორც ეს განსაზღვრულია საგამოცდო და სასწავლო პროცესების დებულებაში. ფაკულტეტის დეკანი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ქმნის სააპელაციო კომისიას შედეგების გამოქვეყნებიდან სამი დღის განმავლობაში. ფაკულტეტის სააპელაციო კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს დარგის სპეციალისტი კომისიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტური ცოდნის შეფასების რეგულირება;
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები: • უზრუნველყავით, რომ სტუდენტებს შეეძლოთ ელექტრონული პროცესის მართვის სისტემის გამოყენება. გახადეთ სისტემა უფრო ინფორმაციული და ეფექტური სწავლის გაუმჯობესებისა და სტუდენტების უკუკავშირისთვის. • უზრუნველყავით, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი. • ყველა სასწავლო პროგრამაში განახორციელეთ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა შეძლოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესისა და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. პერსონალის მართვის ძირითადი წესები რეგულირდება კანონმდებლობით. უსდ-მ მიიღო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციული, დამხმარე და აკადემიური პერსონალის მენეჯმენტისა და ადამიანური რესურსების პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. ადამიანური რესურსების მართვის სისტემა მოიცავს პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, განვითარების პროცედურებს. უსდ რეგიონალურ დონეზე ცდილობს მოიზიდოს და შეინარჩუნოს გამოცდილი აკადემიური პერსონალი. კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კვალიფიკაციის გარდა, დადგენილია დამატებითი კვალიფიკაციებიც. პროფესორის თანამდებობისთვის კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტებში მიღებული მინიმუმ 5 ან 6 წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება და შემდეგი სამეცნიერო

კვალიფიკაციები, გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, მასწავლებლად მუშაობა, რათა მონაცემები დაემთხვეს კონკურსში განსაზღვრულ სპეციფიკურ დარგს.

ადმინისტრაციასთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით დადგინდა, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლების განვითარებას მრავალი გზით უჭერს მხარს, რასაც უმეტესად ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის მენეჯმენტი ახორციელებს. სტრატეგიული გეგმის ფარგლებში მნიშვნელოვანია, რომ პერსონალის განვითარება მოხდეს განახლებული HR დეპარტამენტის მიერ აკადემიურ განყოფილებებთან და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ერთად ორგანიზებულად, დაგეგმილად, მისი მონიტორინგისა და კონტროლის პირობებში. მაგალითად, უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, პერსონალის ინდივიდუალური განვითარების ყოველწლიური ან საშუალოვადიანი გეგმა უნდა შედგეს და შეთანხმდეს ინდივიდუალურ პერსონალის წევრებსა და უნივერსიტეტს შორის, რის კვალობაზეც შეიქმნება შეფასების შედეგების საფუძველი.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონი განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის დასაქმების ზუსტ წესებს და უსდ იცავს მას. მოწვეული ლექტორები დაქირავებულნი არიან ფაკულტეტისა და პროგრამის ხელმძღვანელის შეთავაზებით. გამოკითხული მოწვეული პერსონალის შემადგენლობაში შედიან სწავლების გამოცდილების მქონე გამოცდილი პროფესიონალები, რომლებიც პროგრამების ღირებულებას და მნიშვნელობას ზრდიან დარგის ცოდნის აუდიტორიაში გადატანის გზით. მიუხედავად ამისა, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს სტრატეგია აკადემიკოსთა ახალი თაობის ჩართულობისთვის და განახორციელოს იგი. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ახალი სადოქტორო პროგრამების შექმნისას, უნივერსიტეტის მიზანია მათში ახალი მკვლევარებისა და ლექტორების ჩართვა. ეს ასევე უნდა აისახოს აკადემიური პერსონალის რაოდენობებში. დღესდღეობით უნივერსიტეტს ჰყავს მხოლოდ 2 ასისტენტ პროფესორი და არცერთი ასისტენტი.

აფილირების ვადებსა და პირობებს ადგენს აკადემიური საბჭო. ეს წესი ზოგადია და არ შეიცავს კონკრეტულ პირობებს აფილირების იდეის გარდა. უნივერსიტეტს აქვს სპეციალური სამეცნიერო საგრანტო კონკურსი პროფესორებისთვის, რაც მამოტივირებელია და პროდუქტიულია პერსონალისთვის. თუმცა, კონკურსს უნდა ჰქონდეს ანგარიშვალდებულების განსაკუთრებული ფორმები და შესაძლოა შეფასდეს გრანტის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ჯგუფის აზრით, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი გამოირჩევა უნივერსიტეტისადმი და სამუშაოსადმი ერთგულებით.

SJSU იყენებს პერსონალის კმაყოფილების კვლევასა და მის შედეგებს ტრენინგის, სემინარებისა და განვითარების სხვა ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. უსდ– მ პერსონალის განვითარებისთვის ჩაატარა რამდენიმე ღონისძიება: ტრენინგი ანტიპლაგიატობისა და Turnitin პროგრამის გამოყენების შესახებ, სწავლების თანამედროვე მეთოდები და მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება; სასწავლო გეგმებისა და სილაბუსების შექმნა. უსდ ასევე მოუწოდებს პერსონალს, შეისწავლონ ინგლისური ენა ინტერნაციონალიზაციისა და პიროვნული განვითარებისათვის. ის აფინანსებს ინგლისური ენის კურსებს ადმინისტრაციისა და ლექტორებისთვის. ERASMUS + ის მეშვეობით პერსონალის მობილობის შედეგი ამჟამად ძალიან დაბალია. დაწესებულება უფრო მეტად ორიენტირებულია სტუდენტთა მობილობაზე, მაშინ როდესაც პერსონალის მობილობის მხარდაჭერაც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ის უსდ-ს დაეხმარება პერსონალის ადმინისტრაციული და აკადემიური საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაში.

არ არსებობს კოლეგიალური განხილვის ოფიციალური სისტემა. თუმცა გარკვეულ

შემთხვევებში, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის ჩვეულებრივი პრაქტიკაა სიღრმისეული რეცენზიების გაკეთება. პროფესორთა ინიციატივებს მხარს უჭერს ადმინისტრაცია. მრავალი წიგნი, ტრენინგი, კონფერენცია და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა დაფინანსდა უნივერსიტეტის მიერ. ამ გადაწყვეტილებების უმეტესობას რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იღებს. ზოგიერთი საქმიანობა, რომელსაც მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება, განიხილება წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში). ამასთან, ჯერჯერობით არ არსებობს ზუსტი პროცედურა და წესი, თუ როგორ უნდა იქნას მოპოვებული დაფინანსება, როგორ უნდა მოხდეს მის შესახებ ანგარიშის წარდგენა ადმინისტრაციაში და მიღებულ იქნას უკუკავშირი საქმიანობების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუების შედეგები. • სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება • თვითშეფასების ანგარიში • აკადემიური საბჭოს #14 დადგენილება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკის შესახებ, 2019 წლის 28 მარტი • წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციული და პროგრამული დახმარების პერსონალის დაქირავების შესახებ, 2017 წლის 19 ივლისი • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთეულების ფუნქციები
რეკომენდაციები: • უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პასუხისმგებლობის მკაცრი სისტემა და განახორციელოს იგი. პასუხისმგებლობა უნდა შეამოწმოს კოლეგიურმა ორგანოებმა, მაგალითად, აკადემიურმა საბჭომ (და არა მხოლოდ რექტორმა და ადმინისტრაციის უფროსმა). აკადემიური პერსონალის შეფასება უნდა მოხდეს მათი აკადემიური საქმიანობის საფუძველზე. ყველა შიდა საგრანტო კონკურსი უნდა მოიცავდეს ანგარიშვალდებულებას და შეფასდეს უნივერსიტეტის მიერ. • უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს გეგმა, რათა ახალი თაობის აკადემიკოსები ჩაერთონ სასწავლო და კვლევის პროცესში. ასევე უნდა დაეხმაროს მათ, რომ იყვნენ აკადემიური პერსონალის ნაწილი, რათა უზრუნველყოს უნივერსიტეტი საკმარისი რაოდენობის აკადემიკოსებით ზოგიერთი პროფესორის პენსიაზე გასვლის შემდეგ. • უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პერსონალის მობილობის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები და წაახალისოს მათი მონაწილეობა.
რჩევები: • გააძლიერეთ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის როლი თანამშრომელთა განვითარების კოორდინაციისა და მონიტორინგის სფეროში. • აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის უნდა მოხდეს კოლეგიალური შეფასების სისტემების დანერგვა. ეს შეიძლება იყოს სავალდებულო ახლად დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვები უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების, ასევე, მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს სემესტრზე დაფუძნებული განახლებადი სქემა აკადემიური პერსონალისთვის. დებულებები ზღუდავს საკონტაქტო საათებს აუდიტორული მუშაობისთვის, აგრეთვე განსაზღვრავს აკადემიური კვლევისა და მომსახურების ისეთ საქმიანობას, რომელიც უნდა შეასრულოს პერსონალმა.

აუდიტორული დატვირთვა განისაზღვრება აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების დადგენილებით. სამუშაო დატვირთვის მიხედვით, ლექციების-სემინარების გარდა (აუდიტორული საათები), პერსონალი ვალდებულია ჩაატაროს კონსულტაციები, განაახლოს სილაბუსი, შეიმუშაოს რესურსები შეფასებისთვის. მათ ევალებათ გააკეთონ კვლევები და გამოაქვეყნონ სტატიები (მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში ორი სტატია საერთაშორისო რეცენზირებულ აკადემიურ ჟურნალებში).

უნივერსიტეტის ახალი წესის მიხედვით, აკადემიურმა პერსონალმა უნდა დაუთმოს თავისი დროის 40% სწავლებას, 40% - სამეცნიერო მუშაობას და 20% კი შეუძლია სურვილისამებრ გამოიყენოს. სამუშაო დატვირთვის მიხედვით, პროფესორებისთვის, ასოცირებული პროფესორებისთვის და ასისტენტ-პროფესორებისთვის აუდიტორული საათების რაოდენობა განსხვავებულია, მაგრამ არ არის ინფორმაცია იმ საათების შესახებ, რომლებიც უნდა დაიხარჯოს აკადემიური კვლევებისთვის ან სხვა სერვისებისთვის. აკადემიური პერსონალის საქმიანობის ეს ნაწილი საათებით არ გამოითვლება და შეფასებულია ქულებით. მიმდინარე სქემა ძალიან რთულია. ადმინისტრაციასთან და პერსონალთან ინტერვიუების დროს, ჯგუფმა ვერ მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ არის გამოთვლილი მთლიანი დატვირთვა. უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს ყველა სახის საქმიანობა საათებში და განასხვავოს ის.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეგიონალური სასწავლებელია, რომელიც მოქმედებს ქვეყნის შორ რეგიონში, ამიტომ მისი გარკვეული სპეციალობებისთვის საჭიროა სხვა კუთხეებიდან კვალიფიციური კადრების მოზიდვა. აკადემიური პერსონალისთვის, რომელიც უნივერსიტეტთან სხვა რეგიონებიდან თანამშრომლობს, უსდ უზრუნველყოფს სუბსიდიებს მგზავრობისთვის, უფასო საცხოვრებლისთვის, ღამის გათენებისთვის ახალციხის კამპუსის პერსონალის საერთო საცხოვრებელში და ორ კამპუსს შორის უფასო ტრანსპორტირებისთვის. ამასთან, ჯგუფი აღნიშნავს, რომ ის პერსონალი, რომელიც სხვა ქალაქებიდან მგზავრობს, რათა ასწავლოს და უხელმძღვანელოს სტუდენტებს, შესაძლოა ვეღარ გაუმკლავდეს მრავალ საქმიანობასა და აკადემიურ შეხვედრებს. ამან შეიძლება თანამშრომლებს ენერგია გამოაცალოს, რაც შედეგად მოიტანს ნაკლებ ინტეგრაციას სხვა აკადემიკოსებთან და გავლენას იქონიებს ერთობლივი კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და ეფექტურ ზედამხედველობაზე. გარდა ამისა, ამ პერსონალმა შეიძლება ფიზიკურად დრო ვეღარ გამონახოს პროფესიული განვითარებისა და კვლევითი საქმიანობისთვის.

პროფესორების სხვა უნივერსიტეტებში სწავლების განხორციელებისთვის არ არსებობს

შეზღუდვები. მაგრამ როდესაც არ არსებობს მექანიზმი აუდიტორული საათების გარდა სხვა საათების განსაზღვრისთვის, გაუგებარია, თუ როგორ შეუძლიათ პროფესორებს მათი დაბალანსება. იდეაში პროფესორს შეუძლია სხვა უნივერსიტეტებში ასწავლოს საათები, თუმცა არ არსებობს ამის კონტროლის მექანიზმი. საერთო ჯამში, ჯგუფი ასკვნის, რომ არ არსებობს ზუსტი სისტემა იმისა, თუ როგორ უნდა მოახდინოს უნივერსიტეტმა სამუშაო დატვირთვის ეფექტური გადანაწილება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუების შედეგები; • სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის #6 დადგენილება აკადემიური პერსონალის, პედაგოგებისა და ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტებისთვის აუდიტორული დატვირთვის ლიმიტების მიღებასთან დაკავშირებით, 2017 წლის 25 თებერვალი; • აკადემიური / ხელშეკრულებით დასაქმებული პერსონალის დატვირთვის სქემა და ინდიკატორი სხვა უნივერსიტეტებში არსებული დატვირთვის გათვალისწინებით.
რეკომენდაციები: • უნივერსიტეტმა უნდა შექმნას აკადემიური პერსონალის დატვირთვის სათანადო მექანიზმი, განსაზღვროს აუდიტორული, კვლევითი და სხვა საქმიანობისთვის ზუსტი საათები. სამუშაო დატვირთვა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ ვალდებულებებსა და გაზომვად პასუხისმგებლობებს, რომლებიც უნდა შეასრულონ თანამშრომლებმა.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს; უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, განათლების აღიარება და სტუდენტის უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა მიღების, სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების და განათლების აღიარების რეგულაციები გაერთიანებულია

ერთ დოკუმენტში სახელად „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“. უნივერსიტეტის „სტუდენტთა გზამკვლევში“ მოცემულია სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტებისთვის აუცილებელი ყველა ინფორმაცია, იგი ხელმისაწვდომია სჯსუ-ს ვებ-გვერდზე.

სჯსუ განსაკუთრებულად ზრუნავს უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვაზე და ეთნიკურად ქართველ სტუდენტებზე, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ (უმეტესად მეზობელ ქვეყნებში) და ქართულ ენაზე არ საუბრობენ. უცხოელი სტუდენტები პროგრამაზე ირიცხებიან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სერტიფიკატის აღება შეუძლიათ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტის განათლების ცენტრი. ამგვარად, საბაკალავრო პროგრამები ღიაა იმ ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, აფხაზი და ოსი აბიტურიენტებისთვის, რომლებიც წარმატებულად ჩააბარებენ ზოგადი უნარების გამოცდებს ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და ჩააბარებენ ეროვნულ გამოცდებს აფხაზურ ან ოსურ ენებზე და გაივლიან ქართულ ენაში მომზადების პროგრამას.

უნივერსიტეტი ატარებს გაცნობით შეხვედრებს ახლადმიღებული სტუდენტებისთვის ყოველ წელს, სადაც რექტორი, ფაკულტეტების დეკანები და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრები მისასალმებელი სიტყვით წარსდგებიან და აცნობენ სტუდენტებს საუნივერსიტეტო გარემოს. უცხოელი სტუდენტები ძალიან კმაყოფილები იყვნენ იმით, თუ როგორ დაეხმარა მათ სჯსუ უნივერსიტეტის გარემოს გაცნობაში. მათ აღნიშნეს, რომ წაადგებათ ქართულ ენაში უფრო მეტად მომზადება, განსაკუთრებით კი სწავლების პირველ წელს (იხილეთ შემდეგი პარაგრაფში) ეს აშკარა იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის, არაქართულენოვან სტუდენტებთან გასაუბრების დროს.

უნივერსიტეტმა წარადგინა სტუდენტთა კონტრაქტის ნიმუშები, რომელიც ქმნის სამართლებრივ საფუძველს სტუდენტსა და უსდ-ს შორის. ხელშეკრულებით განსაზღვრული სწავლის საფასურის პირობებისა და ვადების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაციის დაწყებამდე. აღნიშნული პირობები და ვადები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და არ ექვემდებარება ცვლილებას, გარდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შემთხვევებისა. კონტრაქტის პირობებისა და ვადების შესახებ სტუდენტები ინფორმირებულები არიან მის ხელმოწერამდე.

სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები განსაზღვრულია კანონმდებლობით. სტუდენტის სტატუსი შეჩერების მაქსიმალურ ვადას წარმოადგენს 5 წელი. სტუდენტის სტატუსი შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ, სტუდენტს შეუწყდება სტატუსი. შესაბამის მონაცემთა ანალიზზე დაყრდნობით, სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მთავარი მიზეზებია სწავლის საფასურის გადაუხდელობა ან პირადი მიზეზები.

შიდა და გარე მობილობის წესების და წარსულში, სხვა უნივერსიტეტში მოპოვებული კრედიტების აღიარება ხდება სჯსუ-ს შესაბამის პროგრამასთან თავსებადობის საფუძველზე. კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია პასუხისმგებელია კრედიტის აღიარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე.

გამოკითხულმა სტუდენტებმა იცოდნენ იმ პროცედურების შესახებ, რომლებიც უნდა გაიარონ იმ შემთხვევაში, თუკი შეფასების შედეგებით არიან უკმაყოფილო. რაც შეეხება სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობასთან დაკავშირებით სტუდენტთა საჩივრების განხილვას, უნივერსიტეტისთვის უმჯობესია, თუკი ამ პროცესში ჩართავს სტუდენტთა მომსახურების

ცენტრის წარმომადგენლებს და სტუდენტურ თვითმმართველობას. შემდგომში, უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს "ომბუდსმენის“ ოფისის დაარსების საკითხი.

სტუდენტური თვითმმართველობა აქტიური და კარგად ორგანიზებულია. იგი ჩართულია სხვადასხვა აქტივობებში, კულტურული თუ სპორტული ღონისძიებების სახით. აქვს კომუნიკაცია ადგილობრივ ხელისუფლებასთან, იწვევს გარე სპიკერებს და ა.შ. ჩანს, რომ მათ, სოციალური მედიის (ძირითადად Facebook) მეშვეობით, ეფექტური კომუნიკაცია აქვთ დამყარებული სტუდენტთა კონტიგენტთან და შუამავლები არიან სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის. სტუდენტები წარმოდგენილნი არიან ფაკულტეტის და წარმომადგენლობით საბჭოებში, თუმცა სტუდენტებს არ ჰყავთ წარმომადგენლობა აკადემიური საბჭოს დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მარეგულირებელი დოკუმენტები - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დანართი 46)
- უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში (დანართი 45).
- სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი (დანართი 46).
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 18).
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.sjuni.edu.ge

რეკომენდაციები:

რჩევები:

- შექმენით მექანიზმი ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობასთან დაკავშირებული საჩივრების შესამოწმებლად. გირჩევთ პროცესებში ჩართოთ სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, იურიდიული ოფისი და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანო. უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს "ომბუდსმენის" ოფისის დაარსების საკითხი.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას და მათ ჩართულობას უნივერსიტეტის დონეზე, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში და მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სჯსუ-ს ამჟამინდელ ორგანიზაციულ სტრუქტურაში, სტუდენტთა მომსახურება, კარიერული ზრდა და განვითარება წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ნაწილს. სტუდენტთა მომსახურების, კარიერული ზრდისა და განვითარების ახალი ცენტრი გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სტრუქტურის განახლების სტრატეგიული მიზნის ნაწილში. ამგვარად, საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურება ყოველდღიურად უზრუნველყოფილია ფაკულტეტის მიერ. სტუდენტებს ემსახურებათ ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის სპეციალისტი. კონსულტაციები ძირითადად ეხება სასწავლო განრიგის დაგეგმვას (დამატებითი სპეციალობის არჩევა, თავისუფალი კრედიტების არჩევა, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მექანიზმები, დაგროვილი კრედიტები, გამოცდები და მობილობა). ერთ პუნქტიანი კონტაქტის არარსებობა აშკარა იყო გამოკითხულ სტუდენტებში, თუმცა მათ უკმაყოფილება არ გამოუხატავთ.

რაც შეეხება აკადემიურ კონსულტაციებს, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები. აკადემიური პედაგოგების მონაწილეობით, აკადემიური მოსწრების განვითარებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების სქემა მოცემულია თითოეული კურსის სილაბუსში და ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ სემესტრის დასაწყისში. ინფორმაცია განრიგით გათვალისწინებული საკონსულტაციო საათების, მიღების და ადგილმდებარეობის შესახებ ხელმისაწვდომია ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

სასწავლო პლატფორმას (Moodle) შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სასწავლო პროცესის განვითარებაში, თუმცა, როგორც ჩანს, მისი შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული ფაკულტეტისა და სტუდენტების მიერ. უფრო მეტიც, გამოკითხულ სტუდენტთაგან ზოგიერთმა არც იცოდა ამის შესახებ, სხვებმა კი განაცხადეს, რომ არ იყენებენ მას ყველა კურსისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ფაკულტეტი გადამზადდეს ამ პლატფორმის ეფექტურ გამოყენებაში, რათა მოიხმარონ ის, როგორც სწავლების დამხმარე ინსტრუმენტი. მეორეს მხრივ, სტუდენტებმა იცოდნენ პლაგიატთან დაკავშირებული პრობლემების, პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში შედეგების და TURNITIN_ის ინსტრუმენტის შესახებ.

უნივერსიტეტი ლიდერობს იმ უცხოელი სტუდენტებისა და ქართველი უმცირესობებისთვის ქართული ენის შესწავლაში, რომელთაც არ აქვთ ქართული ენის კარგი ცოდნა. უნივერსიტეტი ამ მხრივ დასაფასებელია. გამოკითხულმა უცხოელმა სტუდენტებმა, რომლებიც გადიან ქართული ენის მოსამზადებელ კურსებს, გამოხატეს ენაში მომზადების მეტი საჭიროება მანამ, სანამ საუნივერსიტეტო სწავლება დაიწყება, რათა გადალახონ კომუნიკაციის პრობლემები, განსაკუთრებით კი სწავლების პირველ წელს. ექსპერტთა ჯგუფს მტკიცედ სწამს, რომ ქართული ენის ცოდნის უნარის გაძლიერება მნიშვნელოვნად დაეხმარება უცხოელ სტუდენტებს, როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ ცხოვრებაში, უნივერსიტეტთან და ადგილობრივ საზოგადოებასთან ინტეგრაციის კუთხით.

უნივერსიტეტის რექტორმა წამოიწყო ყოველთვიური „რექტორის საათი“, რომელიც თავისუფალი ფორმატის შეხვედრაა და ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია დასწრება, კითხვების დასმა, რომელთაც რექტორი გასცემს პასუხებს და ასევე განიხილება სხვადასხვა საკითხები. სტუდენტებმა შეაქეს ეს პრაქტიკა და ზოგადად, რექტორის მიერ მათდამი გამოხატული ყურადღება და მზრუნველობა. უცხოელი სტუდენტები უაღრესად კმაყოფილები არიან იმით, რომ რექტორთან შეხვედრის და მასთან პირისპირ საუბრისთვის მეტი შესაძლებლობა აქვთ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას სტიპენდიებთან, სტაჟირებასთან და სხვა კონკურსებთან, ასევე ვაკანსიებთან, ევროპულ და ეროვნულ პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობებთან დაკავშირებული სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ. თუმცა, მაინც არის ორგანიზებული კარიერული ცენტრის არსებობის საჭიროება, რომელიც აწარმოებს დაინტერესებული დამსაქმებლების და ვაკანსიების მონაცემთა ბაზას, მოაწყობს კარიერის დღეებს და დაეხმარება სტუდენტებს სამსახურის მოძებნაში (CV-ს დაწერა, გასაუბრების პრაქტიკა და ა.შ.). ბოლოს, დასაქმების ფორუმი საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ 2015 წელს მოაწყო. საერთაშორისო გაცვლით პროგრამების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას სტუდენტებს აწვდის საგარეო ურთიერთობების ხელმძღვანელი. თუმცა, გაცვლითი აქტივობა ძალიან შეზღუდულია და შემოიფარგლება მეზობელი ქვეყნებით, ამის ძირითადი მიზეზი ინგლისური ენის ფლობის ნაკლებობაა, რაც დაბრკოლებას ქმნის.

სტუდენტური თვითმმართველობა ძალიან აქტიურია, აორგანიზებს და ახორციელებს აქტივობებს კულტურის, სპორტის, ზოგადი განათლებისა და მეცნიერების დარგში და ასევე აწყობს სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებს. უნივერსიტეტმა წარადგინა ინიციატივები უნივერსიტეტის სპორტული გუნდის, მუსიკალური ანსამბლისა და შემოქმედებითი ჯგუფის შექმნისა და მათი აქტივობების განხორციელების კოორდინირების შესახებ. უნივერსიტეტის მატერიალური და ტექნიკური ბაზა განახლების პროცესშია, რათა ხელი შეუწყოს სპორტულ ცხოვრებას. უახლოეს მომავალში, ახალქალაქში იგეგმება სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტისა და ადგილობრივი თემის თანა-დაფინანსებით.

სჯსუ სრულად აცნობიერებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს და ცდილობს განათლების მიღება ფინანსურად ხელმისაწვდომი გახადოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს დაბალ საფასურს და პროგრამებს, რომლებიც სახელმწიფოს მიერ ფინანსურად სრულად უზრუნველყოფილია (ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა) ან უფასოა (ასტრონომიის სამაგისტრო პროგრამა). გარდა ამისა, სჯსუ მუდმივად ცდილობს შექმნას და შეინარჩუნოს მხარდაჭერის მექანიზმები სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის. ამ მიზნით, ხელმისაწვდომია რამდენიმე სასტიპენდიო პროგრამა, რომლებიც ხელს უწყობს კარგი აკადემიური მოსწრების მქონე სოციალურად დაუცველ სტუდენტებს. უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია შემდგომი სასტიპენდიო პროგრამები: სახელმწიფო სტიპენდიის პროგრამა, უნივერსიტეტის სტიპენდიის პროგრამა, გრიგოლ ხანძთელის სახელობის სტიპენდია, ადგილობრივი ხელისუფლების სტიპენდია -ახალციხის მერია. გამოკითხული სტუდენტებიდან ზოგიერთი ამ სტიპენდიების მიმღები იყო და ზოგადად, სტუდენტები ინფორმირებულები იყვნენ ამ შესაძლებლობების შესახებ.

სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის განკუთვნილი შეღავათები ასევე მოიცავს: სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური განრიგის შესახებ შეთანხმებას და სწავლის საფასურისგან გათავისუფლებას რამდენიმე მძიმე სოციალურ და/ან ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი სტუდენტებისთვის (სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილები, ოჯახები სერიოზული სამედიცინო დაავადებით, ობლები, ოჯახები, რომლებიც იბრძოდნენ ტერიტორიებისთვის ან ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები
- დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობები
- კარიერის მხარდაჭერის სამსახური
- მხარდაჭერის მექანიზმები სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.sjuni.edu.ge
- თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან

რეკომენდაციები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩაატარეთ სათანადო ტრენინგები სასწავლო პლატფორმის Moodle- ის გამოყენებაში, რათა ის სრულად გამოიყენონ, როგორც ეფექტური დამხმარე მექანიზმი სასწავლო პროცესში და სტუდენტებთან კომუნიკაციაში.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისგან დამოუკიდებლად უნდა შეიქმნას კარიერული განვითარების ოფისი, რომელიც დააკავშირებს დამსაქმებლებსა და უნივერსიტეტს, ჩაატარებს ტრენინგებს საჭირო უნარ-ჩვევებში სამუშაოს მაძიებლებისთვის და შესაბამის ღონისძიებებს, როგორიცაა „კარიერის დღეები“, "დამსაქმებელთა ფორუმები“ და ა.შ.

- გაზარდეთ ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის ციკლი. გახანგრძლივეთ იგი ან პარალელურად გააგრძელეთ (კრედიტების გარეშე) პირველივე სემესტრის / წლის განმავლობაში რეგულარული სწავლის პირობებში. ეს ხელს შეუწყობს ასიმილაციასა და ინტეგრაციას აკადემიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რჩევები:

- ჩამოაყალიბეთ გეგმა, რათა გაიზარდოს სტუდენტთა მობილობა მეზობელი ქვეყნების გარეთაც.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- ყოველთვიურად ჩატარებული ,,რექტორის საათი", რომელსაც არ აქვს დღის წესრიგი. შეხვედრა ღიაა ყველა სტუდენტისთვის პასუხის გასაცემად და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებსა თუ საკითხებზე მსჯელობისთვის.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, თავისი ფორმისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და ამ საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, თავისი ფორმისა და დარგების სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები, რომლებიც დარგის სპეციფიკის შესაბამისია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

2019-2025 წლისთვის სჯსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა განსაზღვრავს ინსტიტუციონალურ პრიორიტეტებს და კონკრეტულ ყურადღებას ამახვილებს კვლევისა და სწავლების ინტეგრაციასა და კომუნიკაციის გაფართოებაზე, ეს უკანასკნელი უმეტესად აღიქმება, როგორც დაწესებულების ინტერნაციონალიზაციისაკენ გაძლიერებული სწრაფვის ქმედება. შესაბამისად, კვლევა განისაზღვრა სჯსუ-ს ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად და მასთან დაკავშირებული საქმიანობა დეტალურად არის აღწერილი სამოქმედო გეგმაში. სჯსუ მიიჩნევს, რომ დისციპლინათაშორისი კვლევა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში წარმოადგენს არსებით აქტივობას რეგიონში არსებულ გამოწვევებზე რეაგირებისთვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის პრაქტიკულ მნიშვნელობას სათანადოდ აღიქვამს და აფასებს უნივერსიტეტის საზოგადოება - როგორც სტუდენტები, ასევე პერსონალი. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარებაში მისი გადამწყვეტი როლის ხელშესაწყობად, სჯსუ მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ და რეგიონალურ ეკონომიკურ აგენტებთან, როგორებიც არიან მუნიციპალიტეტები, რეგიონული ადმინისტრაცია, რეგიონში არსებული საერთაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, იურიდიული დაწესებულებები, სამრეწველო საკონსულტაციო სააგენტოები და ა.შ. ეს ეკონომიკური აგენტები სჯსუ-ს კურსდამთავრებულთა მსხვილი დამსაქმებლები არიან და გადამწყვეტ როლს ასრულებენ სტაჟირების კომპონენტში. შესაბამისად, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სჯსუ-ს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის განვითარების, განხორციელებისა და შეფასების ყველა ეტაპზე. მართალია დაწესებულების ლიდერების მიერ, მათი როლი ნამდვილად არ არის სათანადოდ შეუფასებელი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ამ და სხვა ეკონომიკურ აქტორებს ნამდვილად შეუძლიათ უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულება დაწესებულების ამჟამინდელი სტრატეგიის განვითარებაში. შესაბამისად, რჩევაა, რომ დაწესებულებამ განიხილოს ამ ეკონომიკური აქტორების ჩაბმა სტრატეგიული განვითარების ინიციატივებში, აქტივობების გაფართოებასა და ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევაში. მათ შეუძლიათ უზრუნველყონ არამხოლოდ ღირებული სარგებელის მოტანა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ადგილობრივ დონეზე მომზადებასა და მხარდაჭერაში, არამედ, რაც მთავარია, გლობალურ დონეზე დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაფართოება. ზოგიერთ ადგილობრივ და საერთაშორისო ეკონომიკურ აგენტთან გაფორმებულია ურთიერთგაგების მემორანდუმები, მაგრამ დაწესებულებას შეუძლია მეტად ისარგებლოს, ერთის მხრივ, თანამშრომლობის გაფართოებით ევროპულ უნივერსიტეტებთან და მეორეს მხრივ ადგილობრივი დამსაქმებლების ქსელთან არსებული თანამშრომლობის გაძლიერებით, ყოველივე ეს იმ მიზნით, რომ უნივერსიტეტმა გამოიყენოს სამცხე-ჯავახეთში არსებული ყველა შესაძლო რესურსი.

წინ არის გეგმები კვლევითი საქმიანობის არეალის გაზრდისთვისა და სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებისთვის, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დაგეგმილ კვლევაზე, რაც გააძლიერებს სჯსუ-ს კვლევების დღის წესრიგს. უნივერსიტეტს გააზრებული აქვს სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციის, ახალგაზრდა მეცნიერებისა და დოქტორანტების მომზადებისა და მხარდაჭერის საჭიროება ფართო საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში.

დოკუმენტების ანალიზი, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და დოქტორანტებთან პირისპირ გასაუბრებები გვიჩვენებს დაწესებულების სწრაფვას

სადოქტორო სწავლების გაღრმავებისკენ. სჯსუ დასაწყისიდანვე მკაფიოდ განუმარტავს პოტენციურ დოქტორანტობის კანდიდატებს, რომ სადოქტორო პროგრამის წარმატებულად გავლისათვის, აუცილებელია დოქტორანტის კვლევითი ინტერესებისა და პოტენციური ხელმძღვანელის ინტერესების შესაბამისობა. მართალია დოქტორანტურაზე ჩარიცხვის პირობები შესაძლოა განსხვავდებოდეს პროგრამებისა და ფაკულტეტების მიხედვით (ზოგიერთი პროგრამა შესაძლოა დოქტორანტისგან ითხოვდეს სადოქტორო თემის პროექტს, რათა გარანტირებული იყოს შესაბამის ხელმძღვანელთან თავსებადობა), თუმცა კვლევითი ინტერესების შესაბამისობა წარმოადგენს უკიდურესად მნიშვნელოვან ასპექტს დოქტორანტურის წარმატებით დასრულებისთვის. სჯსუ-ს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული ხელმძღვანელის ფუნქციები, თუმცა აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ მათ ბოლომდე კარგად არ ესმით, თუ რას მოიცავს დოქტორანტის ხელმძღვანელობა და როგორ ხდება ამის ორგანიზება. იმ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, რომელთაც სწავლა შეაჩერეს კვლევითი კომპონენტის დროს, აშკარაა, რომ საჭიროა ფორმალური რეგულაციები, რომლითაც მოხდება პროგრესის მონიტორინგი და საკვლევი თემის რელევანტურობის უზრუნველყოფა. მიუხედავად ამისა, მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული დაწესებულების მიერ დადგენილი ძირითადი მოთხოვნები, როგორებიცაა გამოქვეყნებისა და კვლევის დიდი გამოცდილება შესაბამის სფეროში. ხელმძღვანელობის გარდა, სჯსუ-ს აქვს თანახელმძღვანელობის კარგი პრაქტიკა. კვლევის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, სჯსუ იძლევა უცხოელი პროფესორების მიერ თანახელმძღვანელობის შესაძლებლობას. როდესაც თანახელმძღვანელი არ არის უცხო ქვეყნიდან მოწვეული პროცესორი, მაშინ დოქტორანტებს, როგორც წესი, უცხოელი ოპონენტი ჰყავთ. აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ სჯსუ-სა და სხვა უნივერსიტეტებში მათი სამუშაო დატვირთვა, ამ ეტაპზე მათ შესაძლებლობას აძლევთ, რომ უხელმძღვანელონ დოქტორანტებს, თუმცა როგორც მე-4 სტანდარტშია განმარტებული, უნივერსიტეტში არ ფუნქციონირებს პერსონალის სამუშაო დატვირთვის მონიტორინგის ეფექტური სისტემა. თავად პერსონალი პრობლემას ვერ ხედავს იმაში, რომ სჯსუ-ში კვირაში ორი ან სამი დღე მივიდეს სწავლების და/ან სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის მიზნით. არც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკითხული დოქტორანტები მიიჩნევენ ამას დიდ დაბრკოლებად, მაგალითად, ერთ-ერთ მათგანს, რომელიც თბილისიდან დადის, თანახელმძღვანელი ჰყავს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში და შესაბამისად ხშირი კონტაქტი აქვს მასთან.

დაწესებულებას დოქტორანტების ყველაზე დიდი რაოდენობა ჰყავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. სჯსუ პერიოდულად ატარებს სტუდენტების კმაყოფილების შესახებ გამოკითხვებს. სჯსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2017 წელს დოქტორანტებში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, სტუდენტების 85.2% კმაყოფილია სჯსუ-ს დოქტორანტურაზე სწავლების ხარისხით. გამოკითხვამ ასევე აჩვენა დოქტორანტების 90%-ის საერთო კმაყოფილება ხელმძღვანელებით, ხოლო 10%-მა განაცხადა რომ მეტნაკლებად კმაყოფილები იყვნენ. დოქტორანტების ხელმძღვანელები შესაბამისი დარგის აქტიური მკვლევარები არიან და დოქტორანტებს ხელმძღვანელობას უწევენ დაწესებულების მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა, აირჩიონ ხელმძღვანელი ან სჯსუ-დან ან სხვა დაწესებულებიდან. ეფექტური და კვალიფიციური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფისთვის, ერთის მხრივ, აკადემიური პერსონალის წახალისების სახით, სჯსუ უზრუნველყოფს ანაზღაურებას დოქტორანტების ხელმძღვანელებისთვის. მეორეს მხრივ, დოქტორანტები იღებენ გრანტებს და დაფინანსებას თავიანთი კონფერენციებისთვის.

დოქტორანტებს მოეთხოვებათ თავიანთი დისერტაციების გამოქვეყნება ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბოლო დროინდელი სამი ბეჭდური სადოქტორო დისერტაცია, რომლებიც მოგვაწოდეს ადგილზე ვიზიტის დროს. აღნიშნული დისერტაციები ასევე ხელმისაწვდომია ონლაინ, სჯსუ-ს ბიბლიოთეკის ვებ-

გვერდზე. დისერტაციები დაწერილია ქართულად, თუმცა აბსტრაქტები არის ინგლისურ ენაზეც. ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, დოქტორანტებისთვის რეკომენდებულია უცხოელი ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის აყვანა. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ასევე უზრუნველყოფს, დისერტაციაზე დაყრდნობით, სტატიის საერთაშორისო რეცენზირებას. გარდა ამისა, დოქტორანტებს შეუძლიათ თავიანთი დისერტაციები წარადგინონ საერთაშორისო კონფერენციებზე და გამოაქვეყნონ თემის უცხოენოვანი ვერსია. ამისათვის გამოყოფილია დაფინანსება. მართალია, რეკომენდებულია უცხოელი თანახელმძღვანელების ყოლა, თუმცა არ არსებობს რეგულაცია, თუ როგორ უნდა წარიმართოს თანახელმძღვანელობა და რა შეიძლება იყოს შედეგები - მათ შორის, სამუშაო დატვირთა, ანაზღაურება, თანახელმძღვანელობისთვის უცხოელი პროფესორების მიერ გამოყოფილი დაფინანსება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უფრო მეტიც, ექსპერტთა ჯგუფისთვის მისასალმებელი იქნებოდა უფრო ინფორმაციული დოკუმენტი ან მკაფიო სტრატეგია ერთობლივ ხელმძღვანელობასა თუ უცხოელის მიერ ხელმძღვანელობის საკითხზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება ამას მნიშვნელოვან ასპექტად მიიჩნევს კვლევის ინტერნაციონალიზაციისთვის. დოქტორანტებთან პირისპირ გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა იმაში, რომ მათი ინგლისურის ფლობის დონე შეესაბამება იმ დონეს, რომელიც გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამის წინაპირობებით და მოითხოვება სწავლის შედეგებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის მისია (დანართი 1) • აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა (დანართი 50) • ურთიერთგაგების მემორანდუმები (დანართი 51) • განხორციელებული, მიმდინარე და/ან დაგეგმილი სამეცნიერო კვლევით შემოქმედებითი საქმიანობის პროექტები, შესაბამისი პუბლიკაციები; (დანართი 53) • აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა და ფუნქციები (დანართი 42) • ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა (დანართი 42). • სადოქტორო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის წესი (დანართი 57).
• აკადემიური საბჭოს დადგენილება, ფაკულტეტის საბჭოების დადგენილება, სადოქტორო ნაშრომის დაცვის პროცედურები (დანართი 57). • დოქტორანტთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 54).
რეკომენდაციები: • მოახდინეთ დოქტორანტურის ხელმძღვანელობის წესების ფორმულირება და უზრუნველყავით, რომ ყველა ფაკულტეტის სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი მათ დაემორჩილოს. • მოახდინეთ უცხოელი ლექტორების ხელმძღვანელობის ან თანახელმძღვანელობისთვის წესების ფორმულირება. ხელი შეუწყეთ პროცესს და უზრუნველყავით, დოქტორანტების ინგლისური ენის ცოდნის მაღალ დონის მიღწევა, რაც მათ დაეხმარება მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო ფორუმებში.

რჩევები:

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს დამატებით შეუძლია ისარგებლოს ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავებით, ერთი მხრივ, და ადგილობრივ დამსაქმებელთა ქსელთან თანამშრომლობის გაძლიერებით, მეორე მხრივ. უსდ-მ მიზნად უნდა დაისახოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული ყველა შესაძლო რესურსის გამოყენება.

- შექმენით ოფიციალური რეგულაციები იმ დოქტორანტების პროგრესის მონიტორინგის მიზნით, რომლებიც იჩერებენ სწავლას. ასევე უზრუნველყავით, რომ კვლევის თემა დარჩეს აქტუალური.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- ადგილობრივი, თბილისელი ან/და ქართველი პროფესორის, ან ადგილობრივი და უცხოეთში მოღვაწე პროფესორის თანა-ხელმძღვანელობის შესაძლებლობა

- ზედამხედველობისთვის დამატებითი ანაზღაურების უზრუნველყოფა.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მკაფიოდ გამოხატულია სტიმული, ენთუზიაზმი და აღქმა იმისა, თუ საით მიემართება სჯსუ კვლევითი მხარდაჭერისა და ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით. თუმცა, შესაბამისი ძალისხმევა საჭიროებს მეტ ორგანიზებას, სიხშირეს, კონსოლიდირებას და საუნივერსიტეტო მასშტაბის მიდგომას. სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიული გეგმაში დეტალურადაა გაწერილი კონკრეტული აქტივობები, მაგრამ დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან არ ჩანს, თუ როგორ აპირებს სჯსუ ამ მიზნების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფი აფასებს მმართველების კრიტიკულ მიდგომას და მათ მიერ კვლევის მხარდაჭერასა და ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული სირთულეების გაგებას. გასაუმჯობესებელი პუნქტები გამოყოფილია თვითშეფასების ანგარიშში და ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრებზე რამდენჯერმე ჩამოაყალიბეს მაღალი თანამდებობის ხელმძღვანელებმა.

ახალი პერსონალის მოზიდვის და ახალგაზრდა მკვლევარების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, სჯსუ თავდაპირველად გეგმავდა მესხეთის კვლევითი ცენტრის დაარსებას, თუმცა პროექტი გაუქმდა არასაკმარისი დაფინანსებისა და რთული იურიდიული საკითხების გამო. კვლევითი ცენტრი კვლავ რჩება სჯსუ-ს დღის წესრიგში, რათა ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერების კვლევას, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ იგი დაარსდება სადოქტორო სკოლის ქვეშ. სადოქტორო სკოლის დაარსება თვითშეფასების ანგარიშში ნახსენები არ არის, მაგრამ გასაუბრებებიდან ცხადი გახდა, რომ ხელმძღვანელობა ამას განიხილავს, როგორც კვლევის მხარდაჭერისა და

ინტერნაციონალიზაციისთვის განკუთვნილ მთავარ ერთეულს და მის როლს ხედავს ახალგაზრდა მკვლევარების ახალი თაობის აღზრდასა და რეგიონულ დონეზე კვლევის განვითარებაში. ამ ეტაპისთვის, რაციონალურ დასაბუთებასა და ხედვას შესაძლოა აკლდეს სიცხადე ინიციატივის სიახლიდან გამომდინარე, თუმცა ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ დაწესებულება მოიძიებს რესურსებს რომ შექმნას და შეინარჩუნოს მესხეთის კვლევითი ცენტრი. ექსპერტთა ჯგუფისთვის მისასალმებელი იქნებოდა სადოქტორო სკოლის კონცეფციისადმი და მისი მესხეთის კვლევით ცენტრთან კავშირისადმი უფრო დეტალური მიდგომა. ამ ეტაპისთვის, შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა თუ როგორ მოხდება რესურსების დაგროვება და დაკომპლექტება ან რა კონკრეტული ქმედებებია მიმართული დისციპლინათაშორისი და საერთაშორისო კვლევებისადმი, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია ნათქვამი.

უნივერსიტეტი დიდწილად ეყრდნობა მთავრობის მხარდაჭერას, სტუდენტის სწავლის საფასურსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სამეცნიერო ფონდი არის უდიდესი ეროვნული წყარო პრიორიტეტული კვლევების დაფინანსებისთვის, საერთაშორისო მასშტაბით კიდევ მრავალი წყარო არსებობს, კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერისთვის, რომელთა გამოყენებაც საკმარისად არ ხდება. დაწესებულების სტრუქტურაში კვლევითი ერთეულის დამატება და მისი დაკომპლექტება კვალიფიციური კვლევითი დამხმარე პერსონალით, უკიდურესად ღირებული იქნება ამ მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ამის დასაწყებად, სჯსუ-ს აქვს საკმარისი კავშირები ქართველ და უცხოელ მკვლევარებთან იმისათვის, რომ გააძლიეროს ეს ასპექტი და მსგავსი რესურსების გამოყენება უნდა ხდებოდეს მაქსიმალურ დონეზე. ამის მაგალითად გამოდგება მემორანდუმები თურქულ და ევროპულ კვლევით ცენტრებთან, რომლებიც არამხოლოდ ხელს უწყობენ სამეცნიერო კონფერენციებსა და ერთობლივ პუბლიკაციებში მონაწილეობას (მკაფიო და მნიშვნელოვანი აქტივობით), არამედ ქმნიან ძლიერ კვლევით ქსელს და კონსორციუმზე დაფუძნებულ კოლაბორაციულ კვლევით პროექტებს, სადაც სჯსუ-ს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს აქვს პოტენციალი, რომ ჩაერთოს.

კვლევის პრორექტორი ზედამხედველობს სჯსუ-ს კვლევითი სტრატეგიის განხორციელებას. მისი როლი ძირითადად ორიენტირებულია იმაზე, რომ გააუმჯობესოს დაწესებულების სტრატეგია კვლევასა და სამეცნიერო დარგებში, მეცნიერების მოზიდვაში, კვლევით დაწესებულებებთან და უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის დანერგვაში. კვლევის პრორექტორი ასევე წარმოადგენს ერთადერთ პიროვნებას, რომელიც ხელმძღვანელობს სჯსუ-ს კვლევით და ინტერნაციონალიზაციის საქმიანობებს, თუმცა მისი უფლებამოსილების დელეგირება ხშირად ხდება ფაკულტეტებზე, რამეთუ ინიციატივა ძირითადად ფაკულტეტებიდან მოდის. კვლევითი სტრატეგიის განვითარების კონცეფცია, რომელიც 2018 წელს ჩამოყალიბდა და დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ, წარმოადგენს სჯსუ-ს კვლევითი პოლიტიკის გზამკვლევს. კონცეფცია ამომწურავად დეტალურია და აღწერს კვლევის კეთილსინდისიერების, აკადემიური თავისუფლების პრინციპებს, კვლევისთვის განკუთვნილი დაფინანსების სქემებს, მათ შორის შიდა კვლევით გრანტებს, დაფინანსების მექანიზმებსა და კვლევითი საქმიანობის ადმინისტრირებას, განხორციელებასა და შეფასებას და ა.შ. კონცეფციის დეტალური აღწერისა და ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საკითხზე კარგად წარმოჩენილი აღწერითი მასალის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა ამ კონცეფციის და ასევე, კვლევასთან მიმართებით სამოქმედო გეგმის განხორციელების სრულ შესაძლებლობაში. აღინიშნა, რომ მართალია ზემოთხსენებული აქტივობებიდან ბევრი ხორციელდება, თუმცა ამ აქტივობებს აკლიათ სისტემატური მიდგომა. მთავარი მიზეზი შესაძლოა იყოს ცენტრალიზებული სტრუქტურების არარსებობა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა კვლევასთან დაკავშირებული ყველა აქტივობის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება. იდეალურ გარემოშიც კი, სადაც საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსია, სადაც ფაკულტეტების მიერ კვლევითი

მხარდაჭერის აქტივობების განხორციელება შესაძლებელია რომ უფლებამოსილების დელეგირების მისაღები მოდელი იყოს, აუცილებელია ცენტრალური ერთეულის არსებობა, რომელიც კოორდინირებას გაუწევს ამ პროცესებს კვლევის პრორექტორთან კოორდინირებით. აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს დასჭირდება უდიდესი ტექნიკური მხარდაჭერა საგრანტო შეთავაზებების დაგეგმვაში, დაწერაში, ბიუჯეტის გაწერასა და შემდეგ მათი კვლევითი პროექტების განხორციელებაში. განსაკუთრებით კი საერთაშორისო კვლევით პროექტებში, რამდენადაც ინგლისური ენის ცოდნის დონე დაბალია. შესაბამისად, რესურსების შენახვის და კვლევის მხარდამჭერი ეფექტური ინსტიტუციონალიზირებული მექანიზმების უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენი ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სჯსუ-მ უნდა შექმნას უფრო ფორმალური სტრუქტურები და მოიცვას ყველა შიდა და გარე დაინტერესებული პირი კვლევის მხარდაჭერაში, ნაცვლად იმისა რომ პიროვნებების სიმტკიცეს დაეყრდნოს.

რამდენადაც არ ფუნქციონირებს კონკრეტული ერთეულები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან კვლევების მხარდაჭერასა და ინტერნაციონალიზაციაზე, რთული წარმოსადგენია თუ რამდენად რეალისტურად შეიძლება გამოიყურებოდეს სამოქმედო გეგმა მომდევნო სამი წლის განმავლობაში. ამ აზრის დემონსტრაციისთვის, განვიხილოთ სამოქმედო გეგმის 1.1.3 აქტივობა (სამეცნიერო და კვლევითი პროექტი და კვლევის დაფინანსების სააგენტოებთან თანამშრომლობა), რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის გადამზადებას კვლევითი პროექტის განვითარებისთვის საჭირო უნარებში. სამოქმედო გეგმის თანახმად, ამ აქტივობაზე პასუხისმგებლები არიან პრორექტორი და თითოეული ფაკულტეტი (კათედრები). უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პროექტის განვითარების მექანიზმები და აკადემიური პერსონალის ტრენინგები, იდეალურ შემთხვევაში, ორგანიზებული უნდა იყოს თითოეულ კათედრაზე, კვლევის მხარდამჭერი ერთეულის მფარველობის ქვეშ, კვლევის პრორექტორსა და საერთაშორისო განყოფილებასთან თანამშრომლობით. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის წევრები ფიქრობენ, რომ რამდენადაც არ არსებობს კვლევის მხარდაჭერაზე ან საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი კონკრეტული სტრუქტურული ერთეული, რთულია იმის ვიზუალიზაცია, თუ როგორ განხორციელდება #1 სტრატეგიული მიზნით (კვლევა) გათვალისწინებული აქტივობები სამ წელიწადში. ამ მოსაზრების კიდევ ერთი მტკიცებულება ისაა, რომ სამოქმედო გეგმაში არ არის დეტალიზირებული ბიუჯეტი, რომელიც უფრო ნათლად წარმოაჩენდა, თუ რა დონეზეა ეს მიზნები მიღწევადი სამი წლის პერიოდში, ხელთარსებული ფინანსური რესურსების გამოყენებით. სჯსუ-ს არ აქვს ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. ამ ეტაპზე, არც რაიმე კონკრეტული, დეტალური გეგმები აქვს ასეთი პროგრამების განვითარებისთვის. სამოქმედო გეგმაში მხოლოდ ნახსენებია, რომ სჯსუ გეგმავს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, თუმცა ამ მიზნისთვის არ არის გამოყოფილი სპეციალური ბიუჯეტი, არც აკადემიური ერთეული და არც სფეროა დაკონკრეტებული. არსებულ პროგრამებში, როგორც ეს აღინიშნა 6.1.-ში, არის თანახელმძღვანელობის კარგი პრაქტიკა ადგილობრივი და თბილისში მყოფი ქართველი პროფესორების ან ადგილობრივი და უცხოეთში მყოფი პროფესორების მიერ.

სადოქტორო პროგრამების დანერგვამდე, სჯსუ-ში კვლევის დაფინანსება ჩვეული პრაქტიკა არ იყო. 2014 წელს სადოქტორო პროგრამების დანერგვის შემდეგ, ეს აისახა სჯსუ-ს კვლევის დღის წესრიგში. ყოველწლიური ბიუჯეტის 3% გამოყოფილია კვლევის დაფინანსებისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა მოიკვლია, თუ რამდენად საკმარისია ეს რაოდენობა დაწესებულებისთვის საამაყო ყველა აქტივობის - კონფერენციების, პუბლიკაციების, ჯილდოების, შიდა გრანტების და სხვათა დასაფინანსებლად. პასუხად მივიღეთ, რომ ამ ფინანსების საკმარისობას მოწმობს სჯსუ-ში განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი კვლევა და მკვლევარების კმაყოფილება. გადა 3%-ისა, სჯსუ-მ 150 000 ლარი შესაძლოა დაამატოს სარეზერვო ფონდიდან, საჭიროების შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სჯსუ-ს კვლევითი კონცეფცია
- კვლევის დაფინანსების პროცედურები
- კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები;
- საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან გაფორმებული მემორანდუმები
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები
- უნივერსიტეტის ვებ-საიტი

რეკომენდაციები:

- შეიმუშავეთ სისტემური და ოფიციალური მიდგომა კვლევის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით.

- შექმენით თითოეული ძირითადი პასუხისმგებლობის სტრუქტურული ერთეული, მაგალითად, კვლევითი განყოფილება და საერთაშორისო ურთიერთობების ოფისი. მოიზიდეთ და მოამზადეთ ადამიანური რესურსები კვლევის დამხმარე განყოფილებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისისთვის.

- თითოეულ ფაკულტეტს / აკადემიურ განყოფილებას დაუნიშნეთ აკადემიური პერსონალი, დოქტორანტები და მკვლევარები, რათა მათ შეიმუშაონ ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო სააგენტოებისთვის კვლევითი წინადადებები.

- გააღრმავეთ თანამშრომლობა კვლევის განყოფილებას, საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისსა და ფაკულტეტებს შორის, რათა ახალგაზრდა მკვლევარები ჩაერთონ ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით პროგრამებში.

- გაზარდეთ უნივერსიტეტის ბიუჯეტში კვლევის დაფინანსება.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს აქვს კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი განყოფილებებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სჯსუ-ში ჩატარებული კვლევა თავისი ხასიათით დისციპლინათშორისია და ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ისტორიას, ეთნოლოგიას, გეოგრაფიას და ა.შ. თვითშეფასების ანგარიშში ხაზგასმულია დისციპლინათშორისი ბიოეკონომიკური კვლევის პერსპექტივები, რომლებიც გაერთიანებს კვლევით საჭიროებებს, რომლებიც ითვალისწინებს რეგიონში აგრარულ და ეკონომიკურ პოტენციალს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია სჯსუ– ში ჩატარებული კვლევითი საქმიანობის შეფასებაზე, მათ შორის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებაზე. შეფასების კრიტერიუმები ჩამოთვლილია დოკუმენტში სახელად „კვლევის სტრატეგიის განვითარების კონცეფცია“, თუმცა, სავალდებულო აქტივობები

ეფუძნება სამეცნიერო სამუშაო დატვირთვას და განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომელთაგან აკადემიურმა პერსონალმა უნდა ამოირჩიოს რამდენიმე. მართალია თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს ქულა, თუმცა ყველაზე მაღალი ქულა (60) მინიჭებულია მაღალი იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში საკუთარი ავტორობით გამოცემულ პუბლიკაციაზე. ყველაზე მაღალი ქულები ასევე ენიჭება სხვა კვლევით აქტივობებს, მათ შორის სამეცნიერო-კვლევით პროექტებს, კოლაბორაციულ კვლევით პროექტებს უცხოეთში მცხოვრებ ქართველ თანამემამულე მეცნიერებთან. კონცეფციაში ნათქვამია, რომ ყველა აკადემიური პერსონალისთვის სავალდებულოა, მაღალი იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალში გამოაქვეყნოს ერთი სამეცნიერო ნაშრომი ყოველ ორ წელში ერთხელ. თუმცა, ბუნდოვანია, თუ რამდენად ჭეშმარიტია ეს ყველა აკადემიური პერსონალისთვის განურჩევლად მათი რანგისა, თუ ეს მხოლოდ აფილირებულ პერსონალს ეხება.

დაწესებულების მონაცემები ეფექტურად გროვდება 2018 წლის დასაწყისიდან. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, თითოეული ფაკულტეტის წევრი წარადგენს საკუთარი სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშს, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემის შესაბამისად. 2018-2019 წელს, როდესაც ფაკულტეტისგან ინფორმაციის მოგროვების ეს მეთოდი პირველად გამოსცადეს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აქვს გარკვეული ინფორმაცია თითოეული ფაკულტეტის კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით და ეს თავმოყრილია ანგარიშის ფორმატში. (დანართი 63, დანართი 65). საერთო ჯამში, დაწესებულების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ანგარიშები დგება ყოველწლიურად, ცალკეული განყოფილებების / ან პასუხისმგებელი პირების მიერ. ეს ანგარიშები მეტწილად აღწერითი ხასიათისაა, იძლევა გარკვეული ოდენობის, თუმცა სასარგებლო ანალიზსა და რეკომენდაციებს (დანართი 19).

კვლევითი ერთეულების შეფასება არ ტარდება, რადგან არ არსებოს ისეთი ერთეული, რომელიც შეაფასებს მათ პროდუქტიულობას ან ეფექტურობას. უფრო მეტიც, არ არის მომსახურე პერსონალი გარდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალისა, რომელიც შეაფასებს კვლევით და სამეცნიერო შედეგებს. აშკარაა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაციები არ არის ადეკვატური მონაცემთა სრული და სისტემატური ანალიზის ჩასატარებლად.

ფაკულტეტი მონაწილეობს კვლევითი სამუშაოს შეფასებაში. ფაკულტეტის წევრმა უნდა წარადგინოს წლიური თვითშეფასების ანგარიში კვლევის თაობაზე, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს. სჯსუ-ს კვლევითი კონცეფცია, რომელიც სახელმძღვანელო დოკუმენტია, ყურადღებას ამახვილებს კვლევის დაგეგმვაზე, შეფასების მაჩვენებლებსა და აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვაზე. ამ ეტაპისთვის, შეუძლებელი იყო იმის შეფასება, თუ რამდენად სისტემატურია კვლევითი საქმიანობის ანალიზის შეფასება, რამდენადაც ეს საკმაოდ ახალი პროცედურაა. თუმცა, დოკუმენტის ანალიზმა ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა მოკლე ანალიტიკური კონტექსტი. არსებული სისტემისა და პროცედურების ერთი მაგალითი ვიპოვეთ დოკუმენტში სახელად „დანართი 19- ხარისხის შეფასების შედეგების პროცედურა და ანგარიში ამ შედეგების გამოყენების შესახებ“. აქ ნაჩვენებია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად, ცვლილებები შევიდა პერსონალის სამუშაო დატვირთვაში, რათა გამოერიცხათ სამეცნიერო და არჩევით კომპონენტებს შორის გადაკვეთა, რაც რეალური შემთხვევა იყო, ზოგიერთი პროფესორისთვის. მართალია, აკადემიური პერსონალის მიერ მოწოდებული მონაცემთა ანალიზის საფუძველზე კიდევ გაკეთდა სხვა რეკომენდაციებიც, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გამოავლინა შემდგომი აქტივობები, თუ რამდენად მოხდა ამ რეკომენდაციების რეალიზება.

საკუთარ კვლევით საქმიანობაზე კითხვის დასმისას - აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო კონფერენციებსა და

პუბლიკაციებში მონაწილეობაზე. ნაკლები ყურადღება მახვილდება მცირე ან ფართო-მასშტაბის კვლევით პროექტებზე, რომელთაც ადმინისტრირებას უწევენ ფაკულტეტის წევრები, ნებისმიერ კვლევით გრანტზე, რომელიც მოპოვებულია საზღვარგარეთიდან ან ქართველ ან უცხოელ მკვლევარებთან თანამშრომლობით. უფრო მეტიც, ეს საერთო ფონია როგორც სხვადასხვა ფაკულტეტებზე, ასევე ადმინისტრაციაში. მიუხედავად ამისა, სჯსუ უზრუნველყოფს 24 000 ლარს ყოველწლიურად, შიდა დაფინანსების კვლევითი პროექტებისთვის. 2018 წელს, სჯსუ-მ დააფინანსა სამი შიდა გრანტი მისი აკადემიური პერსონალისთვის და კიდევ 3 კვლევითი გრანტი მოიპოვა სჯსუ-ს პერსონალმა ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან, ბოლო 10 წლის განმავლობაში, 2008-2018 წლების პერიოდში. ამის ერთი ახსნა შეიძლება ის იყოს, რომ სჯსუ-მ განათლების მესამე საფეხურის, დოქტორანტურის პროგრამები მხოლოდ 5 წლის წინ დანერგა და 2014 წლამდე კვლევა არ წარმოადგენდა პრიორიტეტს. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება დიდწილად ეყრდნობა ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერას, 3 კვლევითი გრანტი 5 წლიანი პერიოდის განმავლობაშიც კი ძალიან დაბალი მაჩვენებელია იმ დაწესებულებისთვის, რომლის მისიაც ტრადიციულ და ინოვაციურ კვლევაზე-ორიენტირებული ხარისხის განათლებას ითვალისწინებს ყველა დონეზე. ახალი ცოდნის შექმნა, ახალგაზრდა და გამოცდილი მკვლევარების მოზიდვა და მაღალი ხარისხის კვლევითი და სამეცნიერო პროდუქტების შექმნა, რთულად მიიღწევა ძლიერი კვლევითი შესაძლებლობის გარეშე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი - დანართი 63
- სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმი - დანართი 64
- ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა და ანგარიში მისი გამოყენების შესახებ - დანართი 19
- კვლევის შესახებ ანგარიში ფაკულტეტების მიხედვით - დანართი 65.
- ინტერვიუების შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-საიტი

რეკომენდაციები:

- მოახდინეთ მონაცემთა შეგროვების სისტემატიზაცია და მონაცემთა ანალიზი; ჩართეთ ამ პროცესში კვლევის დამხმარე განყოფილება, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი და ფაკულტეტები.
- ხელახლა შეაფასეთ დატვირთვის სქემა და განუმარტეთ პერსონალს, თუ რა ფასდება.
- შეიმუშავეთ კვლევის დამხმარე განყოფილების პროდუქტიულობის შეფასების მექანიზი.
- გამოიყენეთ შეფასების შედეგები სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის შემდგომი განვითარებისათვის.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- საუნივერსიტეტო შიდა კონკურსი კვლევითი პროექტის გრანტებისთვის.

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსები
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ უსდ-ს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობები განლაგებულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ორ ქალაქში - ახალციხე და ახალქალაქი. უნივერსიტეტი პერსონალისთვის უზრუნველყოფს ორ ქალაქს შორის უფასო ტრანსპორეტირებას, ასევე უფასო საცხოვრებელს იმ აკადემიური პერსონალისთვის, რომლებიც საქართველოს სხვა ტერიტორიებიდან არიან ჩამოსული. შენობა-ნაგებობები აშენებული იყო ადგილობრივი კოლეჯებისათვის, ახლა მათ ფლობს უნივერსიტეტი. ახალციხეში მდებარეობს ორი შენობა (I და II), სადაც ტარდება საგანმანათლებლო აქტივობები და აკადემიური პერსონალისთვის გამოყოფილია 24,667მ^2 ფართის კამპუსი. შენობები სათანადოდ არის აღჭურვილი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საჭირო ინვენტარით, ასევე სამუშაო ჯგუფებისა და ინდივიდუალური სამუშაოებისთვის საჭირო სივრცეებით, სამეცნიერო ბიბლიოთეკით, სანიტარული კვანძებით, გათვლილია შშმ პირებზე, მოქმედებს კლუბი და ხმის ჩამწერი სტუდია, უნივერსიტეტს აქვს არქივი, ფოიე

და სხვა სივრცეები, რომლებიც საჭიროა ადმინისტრაციული საქმიანობისთვის. დაწესებულებას აქვს დახურული და ღია სპორტული დაწესებულებები და მუზეუმი, სადაც რეგიონში გაკეთებული აღმოჩენებია გამოფენილი. სასწავლო დაწესებულებები, მოიცავს ტევად აუდიტორიებს და კომპიუტერულ ოთახებს, ლაბორატორიებს, შეხვედრის ოთახებსა და სამეცნიერო ბიბლიოთეკას (რომელიც ამ პარაგრაფშია აღწერილი). საკმარისი სივრცეა გამოყოფილი ადმინისტრაციული, ფაკულტეტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, ადმინისტრაციული ერთეულებისა და ტექნიკური მხარდაჭერისთვის. ყველა სივრცე კარგად არის მოვლილი და უზრუნველყოფილია უწყვეტი ბუნებრივი და ხელოვნური განათების სისტემებით. შენობაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. სანიტარული კვანძები მუდმივად მარაგდება სასმელი/ტექნიკური წყლით, უწყვეტი განათებითა და ბუნებრივი ვენტილაციით. სანიტარული კვანძები აკმაყოფილებენ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს.

შენობის ტერიტორიაზე მოწყობილია ღია ავტოსადგომი, სადაც გათვალისწინებულია სპეციალური სივრცე შშმ პირებისთვის და მათ შეუძლიათ შეუფერხებლად შევიდნენ შენობაში. შშმ პირებს აქვთ წვდომა შენობის პირველ სართულსა და სარდაფში არსებულ ლაბორატორიაზე. უახლოეს მომავალში იგეგმება სპეციალური დახრილი ლიფტის(პლატფორმა) შეძენა და დამონტაჟება შშმ პირებისთვის, რათა მათ შეეძლოთ შენობის ყველა სართულზე შესვლა.

აკადემიური პერსონალის საცხოვრებელი შენობა უზრუნველყოფილია 700მ^2 საცხოვრებელი სივრცით და აუცილებელი სანიტარული კვანძებით.

ახალქალაქის კამპუსი შედგება უნივერსიტეტის III და IV შენობებისგან, მასწავლებელთა მოსამზადებელი ცენტრისგან და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისგან. უნივერსიტეტი ფარავს ახალციხიდან ახალქალაქში ტრანსპორტირების ხარჯებს აკადემიური პერსონალისთვის და უზრუნველყოფს ტრანსპორტირებას საკუთარი ტრანსპორტით.

III შენობა სამსართულიანია, მისი ფართი შეადგენს 2088 კვადრატულ მეტრს, ამ შენობაში არის 731 კვადრატული მეტრის სასწავლო სივრცე, ასევე ადმინისტრაციისთვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოფისებისთვის, ადმინისტრაციული სამსახურისთვის განკუთვნილი სივრცე და დამხმარე ფართი. შენობა იტევს საგანმანათლებლო ობიექტებს, რომლებიც აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საჭირო ინვენტარით, ასევე ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილ სივრცეებს, ბიბლიოთეკას, სანიტარულ კვანძებს, ფოიეს და სხვა სივრცეებს ადმინისტრაციული საქმიანობისთვის. სანიტარული კვანძები მუდმივად მარაგდება სასმელი წყლით, უწყვეტი განათებითა და ბუნებრივი ვენტილაციით. სანიტარული კვანძები აკმაყოფილებენ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს. საგანმანათლებლო პროგრამებისა და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის განკუთვნილი სივრცე აღჭურვილია უწყვეტი ბუნებრივი და ხელოვნური განათების სისტემებით. შენობაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. ობიექტები ტევადია, თუმცა საჭიროა რემონტი, რათა მათი კეთილმოწყობა მიუახლოვდეს ახალციხის კამპუსის სტანდარტებს.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებით უზრუნველყოფილია სტაბილური ინტერნეტი, შიდა დაქსელვა განხორციელდა 2015 წელს.

2018 წელს გარკვეული სამუშაოები ჩატარდა ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების მიზნით, მთავრობის რეგულაციების შესაბამისად, შენობის პირველ სართულზე მოეწყო ეტლის პანდუსები და ადაპტირებული სანიტარული კვანძები შშმ პირებისთვის. შენობის ტერიტორიაზე მოწყობილია ღია ავტოსადგომი, სადაც გათვალისწინებულია სპეციალური

სივრცე შშმ პირებისთვის და მათ შეუძლიათ შეუფერხებლად შევიდნენ შენობაში. სპეციალური დახრილი ლიფტი (პლატფორმა) მონტაჟდება და მისი ამუშავება იგეგმება უახლოეს მომავალში, რათა შშმ პირებს ჰქონდეთ წვდომა შენობის ყელა სართულზე.

უნივერსიტეტის IV შენობა, ახალქალაქის კამპუსში, საერთო ჯამში მოიცავს 2449 კვადრატული მეტრის სივრცეს და ამ დრისთვის არ ფუნქციონირებს, რამდენადაც საჭიროებს მასშტაბურ სარეაბილიტაციო/სარემონტო სამუშაოებს. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, უნივერსიტეტი გეგმავს ამ შენობის რემონტსა და სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩასატარებლად. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანახმად, 2.5 მილიონი ლარის ოდენობის სამთავრობო გრანტი დამტკიცების საბოლოო ფაზაშია.

უნივერსიტეტის მასწავლებელთა მოსამზადებელი ცენტრის საერთო სივრცე შეადგენს 159 კვადრატულ მეტრს, საიდანაც 65 განკუთვნილია სწავლებისთვის.

სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის საერთო ფართი შეადგენს 2224 კვადრატულ მეტრს, მისი სრული რეაბილიტაცია მოხდა 2014-2015 წლებში, მოიცავს ლუქს-ოთახებს, საკონფერენციო დარბაზებსა და საცხოვრებელ სივრცეს 200 სტუდენტისთვის. ოთხსართულიან შენობაში განლაგებულია ორ და სამ-საძინებლიანი ოთახები. ერთიდან სამ სტუდენტამდე გათვლილ თითოეულ ოთახს აქვს საკუთარი სანიტარული კვანძი, მათ შორის საშხაპე. შენობის ოთხივე სართულზე არის სამზარეულო, საერთო სივრცე და სამრეცხაო. კვანძები შშმ პირებისთვის პირველ სართულზე მოწყობილია ეტლის პანდუსი, ადაპტირებული ოთახები და სანიტარული ობიექტები. საერთო საცხოვრებელ კორპუსში ცხოვრება სტუდენტებისთვის უფასოა.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გარემოს, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას. შენობა-ნაგებობებისა და მატერიალური ღირებულებების დაცვა ხდება 24/7-ზე სამცხე-ჯავახეთის დაცვის პოლიციის განყოფილების რეგიონული დანაყოფის მიერ. ყველა სართულზე და საგანმანათლებლო შენობების მთელ პერიმეტრზე დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. ჯანმრთელობის დაცვის ერთეული, კვალიფიციური სამედიცინო პერსონალითა და საჭირო აღჭურვილობით, ფუნქციონირებს სასწავლო შენობაში. მედიკამენტები უფასოა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები დაცულია სასწავლო შენობაში. ფუნქციონირებს 14 ერთეული ხანძარმქრობი მოწყობილობა, მოხმარების დეტალური ინსტრუქციით. სსიპ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის, ხანძრის შემთხვევაში საგანგებო საევაკუაციო გეგმა, გამოკრულია (პასუხისმგებელი პირის სახელით) თვალსაჩინო ადგილებზე. თითოეულ სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ახალციხის კამპუსში, ზოგიერთი საევაკუაციო გასასვლელი არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების სტანდარტებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან დისკუსიამ აჩვენა, რომ ისინი მიიღებენ გამოსასწორებელ ზომებს. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის უსაფრთხოების გზამკვლევი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უძრავი და მოძრავი ქონების ფლობასა და განკარგვასთან დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტები/ხელშეკრულებები მომსახურების პროვაიდერებთან/უსაფრთხოების რეგულაციები და სხვ.
- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული დაკვირვება და დისკუსია ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

- ახალციხის კამპუსში შეაკეთეთ საევაკუაციო გასასვლელი და ბილიკები, რათა დაცული იყოს უსაფრთხოების სტანდარტები.
- დაასრულეთ საჭირო აღჭურვილობის დაყენება ისე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ წვდომა უნივერსიტეტის შენობებში არსებულ ყველა სართულსა და ადგილზე.
- განაახლეთ ახალქალაქის კამპუსში მე-3 კორპუსი, რათა მიღწეულ იქნას იგივე სტანდარტები, როგორიცაა ახალციხის კამპუსში.

რჩევები:

- მოახდინეთ ადგილობრივი საზოგადოებისა და სოციალური პარტნიორების მობილიზება, რათა მიიღოთ სახელმწიფო გრანტი იმ შენობის რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციისთვის, რომელიც იფუნქციონირებს პროფესიული განათლებისა და ტრენინგის ცენტრის სახით.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- ახალქალაქის კამპუსში სტუდენტებისთვის უფასო განსახლების უზრუნველყოფა
- უფასო ტრანსპორტირებისა და საცხოვრებელის უზრუნველყოფა პროფესორისათვის, რომელიც არ ცხოვრობს ამ მხარეში.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

7.2. ბიბლიოთეკის რესურსები

ბიბლიოთეკის გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიბლიოთეკა დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეულია, რომელიც მუშაობს საკუთარი რეგულაციებით- „სამეცნიერო ბიბლიოთეკის რესურსებისა და მომსახურების განვითარებისა და განახლების მექანიზმები“. სჯსუ-ს ბიბლიოთეკა მუშაობს სამ ადგილას: უნივერსიტეტის I და II შენობებში ახალციხეში და ახალქალაქში მდებარე მე-3 შენობაში.

პირველ კორპუსში მდებარე საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა მოიცავს შემდეგ სივრცეებს: ბიბლიოთეკის საცავს, სამკითხველო დარბაზს 50 მკითხველისთვის, ჯგუფური შეხვედრებისა და დისკუსიებისთვის განკუთვნილ სივრცეს, 14 კომპიუტერს და აღჭურვილ სივრცეს სტუდენტებისთვის, 6 დამატებით კომპიუტერს ფაკულტეტის წარმომადგენლებისთვის და 5 პერსონალურ კომპიუტერს ბიბლიოთეკარებისთვის. სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის კომპიუტერი ცალკეა გამოყოფილი შესაბამის აღჭურვილობასთან ერთად. ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა II შენობაში მოიცავს წიგნების საცავს, 20 ადგილიან სამკითხველო დარბაზს, ჯგუფური სამუშაოებისა და დისკუსიებისთვის განკუთვნილ

სივრცეს, 12 კომპიუტერს და ინტერნეტ წვდომას სტუდენტებისთვის, 2 კომპიუტერს ბიბლიოთეკარებისთვის და 1 კომპიუტერს სს სტუდენტისთვის. სამეცნიერო ბიბლიოთეკის ახალქალაქის განყოფილებას აქვს სამკითხველო დარბაზი მესამე სართულზე, სადაც 45 სტუდენტის განთავსება შეიძლება, ასევე აქვს სივრცე ჯგუფური შეხვედრებისა და დისკუსიებისთვის (მათ შორის კეთილმოწყობა სს სტუდენტებისთვის), 4 კომპიუტერი და ინტერნეტთან წვდომა სტუდენტებისთვის, 1 კომპიუტერი ბიბლიოთეკარებისთვის, 1 კომპიუტერი სსსმ სტუდენტებისთვის, წვდომა პრინტერზე, ასლის გადამღებ მანქანასა და სკანერზე. თითოეულ ბიბლიოთეკაში არსებული სკანერების, პრინტერების და ასლის გადამღებების გამოყენება შეუძლია ნებისმიერ სტუდენტსა და აკადემიურ პერსონალს. ბიბლიოთეკის საცავები აღჭურვილია ცეცხლსაქრობით.

უნივერსიტეტის რექტორის დადგენილების საფუძველზე (13.05.2019წ ბრძანება #5 სპეციალური საჭიროების მქონე პირების ინდივიდუალური მომსახურებისთვის სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლების გამოყოფის შესახებ) ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს მომსახურებას სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის.

ბიბლიოთეკამ გამოსცა ბიბლიოთეკის მოხმარების წესები და რეგულაციები, სადაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციები, სტრუქტურა, სამუშაო განრიგი, წიგნების გაცემისა და დაბრუნების წესები და ასევე კომპიუტერების მოხმარების წესები. გარდა ამისა, სტუდენტებს, ფაკულტეტებს, კურსდამთავრებულებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა, გამოიყენონ ბიბლიოთეკის რესურსები და სამკითხველო დარბაზები და მოიპოვონ მკითხველის ბარათი, რომელიც მათ წვდომას მისცემს OPENBIBLIO-ს ონლაინ ბიბლიოთეკაზე.

წიგნის შეკვეთა ხდება სპეციალური ბარათის შევსებით, ასევე ელექტრონულადაც. ყველა შენობაში, მომხმარებლებს აქვთ შესაძლებლობა, გამოითხოვონ საჭირო ლიტერატურის ციფრული ვერსია და/ან ჩანაწერები, რომელიც მათ უფასოდ მიეცემათ. ბიბლიოთეკა ღიაა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის კვირაში 6 დღე, 60 საათი. საინფორმაციო გზამკვლევები და წესები გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე სამივე ბიბლიოთეკაში.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია როგორც ქსელით, ასევე უსადენო ინტერნეტით, ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში; დაყენებულია შიდა ქსელი ელ-წიგნებით და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამისა და კვლევის მხარდაჭერას.

სჯსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდი მოიცავს ძირითად და დამხმარე ლიტერატურას ქართულ და უცხო ენებზე, რომლებიც საჭიროა უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის შესასრულებლად. თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო რამდენიმე ისეთი წიგნის მოძებნა, რომლებიც მითითებულია სილაბუსების ბიბლიოგრაფიებში.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა საქართველოს ბიბლიოთეკათა ასოციაციის და საერთაშორისო სამეცნიერო გამომცემლობის „ელსევიერის“ კონსორციუმის წევრია, რომელიც დაარსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. როგორც პროექტის „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის“ მონაწილეს, სჯსუ-ს აქვს წვდომა მთავარ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე და ჟურნალების გამომცემლებზე, როგორებიცაა *Cambridge Journals Online, e-Duke Journals Scholarly Collection, Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books, IMechE Journals, SAGE Premier, SAGE APCs for Open Access Journals, Openedition Journals, IMechE Journals*. დაწყებული 2019 წლიდან, სჯსუ-ს აქვს უფასო წვდომა „ელსევიერის“ მონაცემთა ბაზებზე - Scopus და Science Direct, სადაც 3500-ზე მეტი ჟურნალი და

34000 წიგნია.

ბიბლიოთეკის ფონდი ასევე მოიცავს ელექტრონულ მასალებს (აუდიო-ვიდეო ჩანაწერებს, კომპაქტურ დისკებს, რუქებს, ელ-წიგნებს), გამომწერია „ცისკარი 1852“-ის, „განთიადის“, „არილის“, „აუდიტი, ანგარიშგება და ფინანსების“ და „ბუღალტერიის“ ჟურნალის. უნივერსიტეტის პროფესორების სამეცნიერო ნაშრომების გამოცემები, სამეცნიერო ჟურნალი „გულანი“, ისტორიული კრებული „მესხეთი“, ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი „არივი“ და სამეცნიერო კონფერენციების მასალების გამოცემები უნივერსიტეტში ასევე წარმოადგენს ბიბლიოთეკის ფონდის ნაწილს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დაფინანსების ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა, შემოწირულობები სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინდივიდებისგან. სჯსუ-ს ბიბლიოთეკა ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან სჯსუ-ს ბიბლიოთეკის პერსონალის უნარების განვითარების მიმართულებით და სამეცნიერო ბიბლიოთეკათაშორისი გამოთხოვნის შესაძლებლობაში. სჯსუ-ს ბიბლიოთეკა რეგულარულად აწყობს შეხვედრებსა და ტრენინგებს ონლაინ სამეცნიერო მონაცემთა ბაზების მომხმარებლებისთვის. 2018 წლის შემოდგომის სემესტრში 6 საინფორმაციო ტრენინგი ჩატარდა, ხოლო 2019 წლის გაზაფხულის სემესტრში 6 საინფორმაციო ტრენინგი ჩატარდა ონლაინ სამეცნიერო ბაზების მომხმარებლებისთვის.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა აწარმოებს ონლაინ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებზე რეგისტრაციისა და მათი მოხმარების სტატისტიკას. ასევე ადგენს რეგულარულ ანგარიშებს, ყოველ სამ თვეში ერთხელ, შესაბამისი წესის მიხედვით და აბარებს ანგარიშს რექტორს. ამჟამად, სამეცნიერო ჟურნალებზე შესვლის სტატისტიკა დაბალია, უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების რაოდენობის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტი რეგულარულად განაახლებს და ამრავალფეროვნებს წიგნების მარაგს. ბიბლიოთეკა მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან (ფაკულტეტებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განათლების მართვის სამსახურთან, სტუდენტებთან) და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების მიხედვით, განსაზღვრავს სასწავლო და კვლევითი რესურსების საჭიროებას (ეს ეხება წიგნის ფონდს, ასევე სამეცნიერო მონაცემთა ბაზებსა და საჭირო ინვენტარს). ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, სახელმძღვანელოების შესყიდვისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი შეადგენს 15 000 ლარს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- „სამეცნიერო ბიბლიოთეკის რესურსებისა და მომსახურების განვითარებისა და განახლების მექანიზმები“.
- გასაუბრება ბიბლიოთეკარებთან
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- ვიზიტი ბიბლიოთეკებში

რეკომენდაციები:

- ბიბლიოთეკის მარაგში გადაამოწმეთ და უზრუნველყავით პროგრამების სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი ყველა სახელმძღვანელო. პროცესის მონიტორინგი უნდა მოხდეს ყოველწლიურად.

- გააძლიერეთ სტუდენტებისა და პერსონალის ტრენინგები ელექტრონული მონაცემთა ბაზებისა და ჟურნალების გამოყენებაში. აუცილებელია თანამშრომლობა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დირექტორებსა და აკადემიურ პერსონალს შორის, რომლებიც ასწავლიან სამეცნიერო წერას.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

7.3 საინფორმაციო რესურსები

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს საქმიანობის უწყვეტობას.
- უსდ-ს აქვს მოქმედი ვებ-გვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიგნით შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების ბიზნეს პროცესებს და უზრუნველყოფს მათ წარმატებულ განხორციელებას. უსდ ფლობს 458 კომპიუტერს (პერსონალურ კომპიუტერს, ლეპტოპებს და ტაბლეტებს), აქედან 358 პერსონალური კომპიუტერია, 35 ლეპტოპი, 61 ტაბლეტი და 4 სერვერი, საიდანაც 222 კომპიუტერი და 61 ტაბლეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის (ლაბორატორიებში, სასწავლო ოთახებში, ბიბლიოთეკებში) და 136 კომპიუტერი და 34 ლეპტოპი ხელმისაწვდომია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. უსდ-ს სამივე შენობა უზრუნველყოფს საკმარისი რაოდენობის ტექნიკურ აღჭურვილობას, მათ შორის, კომპიუტერებს, პროექტორებს, პრინტერებსა და სკანერებს. ბიბლიოთეკები და პროფესორთა სამუშაო სივრცეები ასევე აღჭურვილია კომპიუტერებითა და პრინტერებით.

უნივერსიტეტის I და II შენობები დაკავშირებულია AirGrid M5 HP Wi-Fi Bridge-თან TX/RX Rate გამტარუნარიანობით: 135მბ/წამში და ოპტიკურ-ბოჭკოვანი 60მბ/წამში ინტერნეტი, ხოლო უნივერსიტეტის მესამე შენობა ახალქალაქში უზრუნველყოფილია 5მბ.წ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტით. უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსი მესამესთან დაკავშირებულია VPN (PPTP) ტიპის კავშირით. ახალციხის შენობებში მუშაობს ერთიანი, ცენტრალიზებული უსადენო ქსელი (კავშირი: როუმინგი, წვდომა მართვის შესაძლებლობებით), ხოლო ახალქალაქის შენობაში ცალკე ქსელია, რომელზე სრული წვდომა აქვთ უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს. საჭიროების შემთხვევაში, მომხმარებლებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ დისტანციურ VPN (PPTP) კავშირს უნივერსიტეტის ქსელზე, რომელსაც აქვს უსაფრთხო და დაშიფრული კავშირი დისტანციურად მდებარე მომხმარებლებთან, საშუალებას აძლევს რა მომხმარებლებს შეაღწიონ უნივერსიტეტის შიდა ელექტრონულ სერვისებში.

უსადენო ქსელი ფარავს მთელს უნივერსიტეტს, კომპიუტერულ საკლასო ოთახებს, ლაბორატორიებსა და აუდიტორიებს, რომელთათვისაც უზრუნველყოფილია წვდომა ინტერნეტზე. სერვერი განთავსებულია ერთ ადგილას სჯსუ-ში, იგი უზრუნველყოფილია გაგრილებისა და ელექტროენერგიის უწყვეტი მომარაგებით (UPS). ინფრასტრუქტურული სერვერები იყენებენ Linux და Microsoft Windows Server-ის საოპერაციო სისტემებს, ინფრასტრუქტურა დაცულია firewall-ით. IT მართვის დეპარტამენტი პერიოდულად არეზერვებს სერვერებს (BackUp) და ინახავს სპეციალურ სივრცეში. უსდ იყენებს Eset-ის

უსაფრთხოების ანტივირუსის პროგრამას, რომელიც მონაცემთა ბაზებს აახლებს ადგილობრივი სერვერიდან. ანტივირუსის სისტემის ცენტრალიზებული მართვა უზრუნველყოფილია ESETRemote Administrator Console-ის მეშვეობით. ელექტრო-ენერგიის გაწყვეტის შემთხვევაში, უსდ უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი მომარაგებით.

ვიდეო-თვალთვალის კამერები (შიდა და გარე პერიმეტრზე, ასევე საგამოცდო ოთახებში) დამონტაჟებულია უნივერსიტეტის ყველა შენობაში და ინფორმაცია ინახება 4 (NVR) ჩამწერებზე. სათვალთვალო ქსელი დახურული სისტემაა, რომელზეც ცვლილებზე/წერაზე წვდომა შეზღუდულია და მხოლოდ წაკითხვის ფორმატში წვდომაა შესაძლებელი უსაფრთხოების სამსახურისთვის.

სათვალთვალო სისტემაში განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ინახება ქსელის ვიდეო ჩამწერზე.

სხვადასხვა სარეზერვო სისტემები, მათ შორის ფიზიკური რეზერვი, ელექტრონული რეზერვი, ინტერნეტ მომსახურების რეზერვი, ასევე უწყვეტი ელექტროენერგიის რეზერვი, უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის პროცესების ბიზნეს უწყვეტობას.

უსდ-მ დანერგა ელექტრონული მომსახურებები და ელექტრონული მართვის სისტემები:

- ელექტრონული სასწავლო პლატფორმა (Moodle), რომელიც ხელს უწყობს მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციას, ინახავს სასწავლო მასალებს, ინფორმაციას ლექციებისა და გამოცდების განრიგზე, პრაქტიკულ დავალებებს, ტესტებსა და გამოცდებს, შეფასების შედეგებს და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილზე ვიზიტის დროს, ზოგიერთმა სტუდენტმა ელექტრონული პლატფორმის გამოყენების დაბალი უნარები აჩვენა და ზოგიერთს ამ პლატფორმის შესახებ გაგებულიც არ ჰქონდა. საინფორმაციო სისტემის მოხმარების ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია სტუდენტების დატრენინგება და მათი წახალისება. გარდა ამისა, აუცილებელია სასწავლო პერსონალის დატრენინგება ამ სისტემის სრული დატვირთვით მოხმარებაზე. იმავდროულად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა მოიკვლიოს და შეამოწმოს სტუდენტთა კმაყოფილება, რათა გაუმჯობესოს სისტემა და გაამართლოს მათი მოლოდინები.
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხდება სტუდენტების აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია; სადაც მოცემულია ინფორმაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, სტუდენტთა სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების (თავდაპირველი რეგისტრაცია, შეჩერება, შეწყვეტა, სტატუსის აღდგენა და კვალიფიკაციის მინიჭება) და სადაც ხდება სტუდენტთა ჩანაწერების გენერირება.
- საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა - eflow.emis.ge
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი "Openbiblio"

სჯსუ-ს ამჟამინდელი ვებ-გვერდი (www.sjuni.edu.ge) ამუშავდა 2006 წელს და განახლდა 2018-ში. მნიშვნელოვანი ინფორმაციის უმეტესი ნაწილი მოცემულია ქართულ და ინგლისურ ენაზე. უსდ-ს ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია: უსდ-ს მისია და სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტთა შერჩევის კრიტერიუმები, მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლება-სწავლის პროცედურები და შეფასება, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრატეგიული განვითარების გეგმა და უსდ-ს წლიური ანგარიში, მიმდინარე და განხორციელებული კვლევითი აქტივობები, უსდ-ს ზოგადი სტატისტიკა, დასაქმების შესაძლებლობები და ა.შ. ინფორმაცია ვებ-გვერდზე რეგულარულად განახლებადია. ვებ-გვერდის ადმინისტრირება მოიცავს ასატვირთი მასალების მომზადებას, მათ სისწორეს, რომელსაც უზრუნველყოფს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი პასუხისმგებელია მასალების მომზადებაზე, ხოლო ვებ-ადმინისტრატორი პასუხისმგებელია მათ განთავსებაზე. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამების მთავარი პუნქტები უნდა

აიტვირთოს ინგლისურ ენაზეც. ეს დაეხმარება უნივერსიტეტს უცხოელი სტუდენტების მოზიდვაში და უსდ-ს საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- IT მართვის პოლიტიკა.
- IT ინფრასტრუქტურა და შესყიდვის კონტრაქტი;
- შპს „პროსერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება (ვებ-გვერდის ჰოსტინგის ხელშეკრულება) №02/345 25.12.2018;
- შპს „პროსერვისი“ (დომეინის ხელშეკრულება)#02/105 12.04.2019;
- შიდა მომსახურების შესახებ ხელშეკრულება
- ვებ-გვერდი www.sjuni.edu.ge;
- სჯსუ-ს საკანცელარიო საქმის ერთიანი წესი;
- ელექტრონული სერვისები;
- სასწავლო გეგმის მართვის ელექტრონული სისტემა;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- ელექტრონული სისტემებისა და ელექტრონული მომსახურების განვითარების მექანიზმები;
- ინტერვიუების შედეგები.

შეფასება

☐ სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

რეკომენდაციები:

- გამოიკვლიეთ და შეამოწმეთ მოსწავლეთა კმაყოფილება ელექტრონული სასწავლო პლატფორმის შესახებ და დააკმაყოფილეთ მათი მოლოდინები, რათა მათ ჰქონდეთ ამ პლატფორმის გამოყენების მოტივაცია.

- დარწმუნდით, რომ სასწავლო პროგრამების ძირითადი შინაარსი ატვირთულია ინგლისურ ენაზეც.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

7.4 ფინანსური რესურსები

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია.
- უსდ-ს ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული და შუალედური სამოქმედო გეგმების ფარგლებში აღწერილი საქმიანობების შესრულებას.
- უსდ-ს ფინანსური რესურსები ფოკუსირებულია დაწესებულების ძირითადი აქტივობების ეფექტურ შესრულებაზე.
- უსდ-ს ბიუჯეტი უზრუნველყოფს კონკრეტული სამეცნიერო კვლევების, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების დაფინანსებას.
- უსდ-ს გააჩნია ანგარიშგების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს 2019 წლის ბიუჯეტში აღწერილი ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. დაფინანსების წყაროები განსხვავებულია რისკების ადეკვატური და ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად. ძირითადი ფინანსური წყაროები არის სტუდენტთა სწავლის საფასური (63%), სახელმწიფო გრანტები (1%), სამეცნიერო კვლევითი გრანტები (1%),

საერთაშორისო ორგანიზაციების გრანტები (3%), სხვა კანონიერი შემოსავლები (1%) და წინა წლის შემოსავალი (31%). ბოლო 5 წლის მონაცემებით, შემოსავლების დინამიკა მზარდია.

ადმინისტრაციისა და ფინანსური განყოფილების თანახმად, უსდ-ს ფინანსები ადეკვატურია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული აქტივობების შესასრულებლად. თუმცა, სტრატეგიული გეგმის აქტივობები არ არის მკაფიოდ ნაჩვენები ბიუჯეტში. გასაუბრების დროს, გაირკვა, რომ უსდ-ს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საქმიანობის შესასრულებლად საჭირო ფინანსები მოიძებნება საჭიროებისამებრ.

უსდ-ს ბიუჯეტი შემუშავებულია სჯსუ-ს ერთიანი ბიუჯეტისა და ფაკულტეტის ბიუჯეტირების წესის საფუძველზე, რომელიც შემუშავებულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ასევე უნივერსიტეტის წესდების, მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების პრიორიტეტების მიხედვით.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მართავს საბიუჯეტო პროცესს, მათ შორის ფაკულტეტების მიერ ბიუჯეტის პროექტების შემუშავებას, ერთიანი ბიუჯეტის პროექტის განვითარებასა და მისი წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენას, დამტკიცების მიზნით. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები, ფაკულტეტის წარმომადგენლები, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, სტუდენტური თვითმმართველობა და სხვა დაინტერესებული მხარეები ესწრებიან უნივერსიტეტის ერთობლივ საბიუჯეტო დისკუსიას შემოსავლებსა და ხარჯებზე, არსებულ ქონებასა და უსდ-ს განვითარებისა და სამოქმედო გეგმებისადმი რელევანტურობაზე.

2017-2019 წლების პერიოდის საფინანსო ანგარიშები ამოწმებენ ფინანსური ინფორმაციის სიზუსტეს, სამართლიანობასა და სისრულეს.

უსდ-ს ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ სწავლის/სწავლების/კვლევითი აქტივობების და ადამიანური რესურსების/ინფრასტრუქტურის მდგრადობას და შემდგომ განვითარებას. თუმცა, 2019 წლის ბიუჯეტში კარგად არ არის აღწერილი თუ რამდენია გათვალისწინებული თითოეული კომპონენტის განვითარებისთვის. ბიუჯეტი ითვალისწინებს მხოლოდ სახელფასო ხარჯებს (50%), მომსახურებისა და პროდუქტებს ხარჯებს (40%), სოციალურ აქტივობებს (1%) და სხვა ხარჯებს (9%). ჯგუფი რჩევას იძლევა, რომ ბიუჯეტში იყოს მოცემული მკაფიო და გამჭვირვალე ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული მიზნების შესრულების, კვლევითი საქმიანობის წარმართვის, ადამიანური რესურსების განვითარების, ბიბლიოთეკისა და ინფრასტრუქტურის შესახებ. თუმცა, გასაუბრების დროს, ახსენეს, რომ 24 000 ლარი გამოყოფილია შიდა კვლევით გრანტებზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს კარგ პრაქტიკად. უნივერსიტეტი აფინანსებს პერსონალისა და დოქტორანტების კვლევით საქმიანობას, მათ მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში, სტატიების გამოქვეყნებას მაღალი რეიტინგის სამეცნიერო ჟურნალებში, მაგრამ ბიუჯეტის მხოლოდ 3% არის გამოყოფილი ასეთი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ხელფასები 10%-ით გაეზარდა და კიდევ გეგმავს ხელფასების გაზრდას პროფესორებისთვის.

უსდ თავისი ფინანსური აუდიტისათვის იწვევს ოფიციალურ აუდიტორულ კომპანიას, რომლის ანგარიში, შესაბამისი ფინანსური განცხადებებით არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. 2015 წელს უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების შეფასებისთვის, გარე აუდიტორმა ჩაატარა ფინანსური აუდიტი 2012, 2013, 2014 წლებში. 2019 წლის 3 ივნისს, 2018-2019 წლების

ფინანსური აუდიტორული მომსახურების შეძენისთვის, დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება #02/160. უნივერსიტეტის ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიში გამოქვეყნებულია გაზეთში „მესხეთის უნივერსიტეტი“ და სჯსუ-ს ვებ-გვერდზე. უსდ-მ შეიმუშავა ფინანსური მართვისა და კონტროლის წესი, სადაც აღწერილია პასუხისმგებლობის განაწილების, დელეგირების, ანგარიშვალდებულებისა და ფინანსური მართვის კონტროლის სისტემა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინფორმაცია დაფინანსების წყაროზე და დაგეგმილი ფინანსური დინამიკა • სჯსუ-ს ბიუჯეტი • მიმდინარე და/ან წინა საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშები • სსიპ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი წესი პასუხისმგებლობის განაწილების, დელეგირების, ანგარიშვალდებულებისა და ფინანსური მართვის კონტროლის შესახებ. • ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასების დოკუმენტები (წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებები). • უფლებამოსილი აუდიტის ან აუდიტორული კომპანიის ანგარიშები და შესაბამისი საფინანსო ანგარიშები • სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://www.sjuni.edu.ge • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: • უზრუნველყავით, რომ ბიუჯეტში იყოს მკაფიო და გამჭვირვალე ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული მიზნების შესრულების, კვლევითი საქმიანობის წარმართვის, ადამიანური რესურსების განვითარების, ბიბლიოთეკისა და ინფრასტრუქტურის შესახებ. • გაზარდეთ კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს